


წელიწადი
პირველი



2 ივლისი
1877 წ.

საზოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

ფასი 1 ლარი

ბამოლის ხუთზაბათობით

ხელის მოწმარა: ტფილისს, „ივერიის“ რედაქციაში, მთაწმინდის ქუჩაზე, შიოყვის სახლების წემოდ. №18 ქუთაისს, ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

<p>„ივერიის“ ფასი 1877 წელს. ათი თვისა, გაეზავნით და გაუგზავნელად . . . 6 მან. — თითო ნომერი — 15 კაპ.</p>	<p>თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია განსწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდათ გამოგზავნილ წერილებს. განცხადება მიიღება ქართულსა და რუსულს ენაზე.</p>
--	---

საძიებელი: I. საქართველოს მატრიანე. — II ომის ამბები. — III. საზოლიტიკო მიმოხილვა. — IV. ეტნოგრაფიული განხილვა, დ. ჩუბინოვისა. — V. ქურნალ გაზეთებიდან ამოღებული ამბები—VII. ჩვენის ისტორიისათვის მასალა. — VIII განცხადება.

საქართველოს მატრიანე

— მაისის 30ს ქალაქის მმართველობის წინაშე წარდგენილი იყო დიდის მთავრის ნამესტნიკისაგან წინადადება სათეატრო ადგილის სეიდვისათვის. ახალის თეატრის ამენებისათვის განწყობულ კომისიას მოლაპარაკება ჰქონია სამხედრო სასამართლოს გვერდით მდებარე ადგილის სეიდვისგან, მორიგებულა ჩითახოვთან და ზუბალოვთან ფასზედ ცამეტ ათას თუმანთა. ჩითახოვი დამდგარა შეიდი ათას თუმანზე, ზუბალოვი ექვსი ათას თუმანზე. კომისიას წარუდგენია დიდის მთავრის ნამესტნიკისათვის, რომ ქალაქმა იეიდოს ეს ადგილი სამუდამოდ თეატრისათვის. ეს წინადადება ქალაქმა მიიღო და გადასწავილა რომ ქალაქის მოთავეს მიენდოს უოველივე კანონიერის წესით სიგელები შეადგენინოს და მიეცეს ძველის თეატრის ადგილისათვის თამამშოვისაგან ახალე თხუთმეტ ათას თუმანიდან ცამეტი ათასი თუმანი.

იმავე 30 რიცხვს ლაპარაკი იყო ქალაქის სასაფლაოთა დახურვაზედ და ქალაქ გარეთ ახალ სასაფლაოს ადგილის მოპოებაზედ. აქამოდე აქაური სასაფლაოები სულ შუა ქალაქშია: ქართველებისა და რუსებისა ვერას, სომხებისა ავლანბარში (ხოჯივანქისა), ფრანგებისა სოლოლაკს, ნემცებისა კუკიას, თათრების გორხანა ნარიყალის ცინის ძირში. ესე სასაფლაოები ერთ დროს სულ ქალაქ გარეთ მორსა ეოფილან და ამ უკანასკნელ ორმოციოდ

წელიწადში რადგანაც ქალაქი გავრცელდა, შენობა მიმატდა ესლა ეგ სასაფლაოები გარე შემოზღუდულია დასახლებულის ხალხითა. ჰყარის სიწმინდე, მეტადრე დიდ დასახლებულ ქალაქებში, ზირველი საზრუნველი რამ არის. ამის გამო ქალაქის მმართველობამ უურადლება მიაქცია ამ საგანსა და გადასწავილა, რომ წინათვე ქალაქის გამგებლობამ (უზრავამ) საჭირო ცნობები შეჰკრიბოს და წარუდგინოს ქალაქის მმართველობას თავისი აზრი. ამ საგანზე დიდ ხანს ლაპარაკი იყო და თითქმის ბევრნი ეოქმანებდნენ ხალხი რას იტყვისო. არავინ არ მოიხსენა ხმისმექონთაგან, რომ ადრე აი 40 წლის წინათ სამი სასაფლაო დახურულა ქალაქში: ქამოანთი, საცა ახლა ქამოვანთ ეკლესიაა სასახლის გვერდით, ქაშვეთის ეკლესიასთან, ესლანდელი ალექსანდროვსკის ბაღის წემოდ და შუა ნაწილი, და ვანქის გარშემო, რომელიც, როგორც შეგვიტყვია, თვით ფრიად ღირს-სახსოვარმა სომხის კათალიკოზმა ნერსესმა გააუქმებინა.—თქმულობაა რომ ნავთლულს გადაიტანონ ეველა მერჯულეთა სასაფლაოები.

— ჩვენ ჰეტერულიდამ ცნობა მოგვივიდა, რომ ჩვენს ჰატეცემულს უფ. დ. ი. ჩუბინოვს ახალი უფრო ვრცელი რუსულ-ქართული ლექსიკონი თითქმის შეუსრულებია (ამ ქამად ასოს „დ“ ათავებს თურმე) და აზირებს დაბეჭდვასო ამბობენ, უფ. ჩუბინოვს მოუსურვებია, რომ რაც ამ ლექსიკონისაგან ფული შემოვა, იმით და რაც დააკლდება, თავისით, სტივენდია დაარსოსო რომელსამე უნივერსიტეტში ქართველებისათვის უფ. მარშლის დანიშნითა და თვით ფულსაც, ამისთვის საჭიროს, მარშალს ჩააბარებს. ღმერთმა ქმნას და ეს ფრიად კეთილი სურვილი აღუსრულოს ამ ჩვენს ჰატეცემულს ქართულის ენის მოღვაწესა.

— უფ. სუნდუკიანცი აზირობს თავისის გამოჩენილის თხზულების „პეპოს“ ქართულად გადათარგმნას და

დაბეჭდას. სომხურს ენახედ კიდევ დაუბეჭდია. ჩვენ გვინახავს სომხურად დაბეჭდილი და მართლის გულით უნდა ვსთქვათ, რომ გვიკვირს ეგრეთის ხელოვნებით ჩვენ ქალაქში წიგნი როგორ დაუბეჭდიათ. ჩვენ ისე მშვენიერად ქალაქში დაბეჭდილი წიგნი ჯერ არ გვინახავს.

– ზოგიერთ ქართულის მოყვარეთა ჩვენი მდაბიო სიმღერები ნოტებსედ გადაუღიათ და ამბობენ შესწორების შემდეგ დაიბეჭდება კიდევცაო.

– ჩვენა გვწერენ: „არავინ მეგულება, რომ ქიზიყის შიმშილობასზედ არა გაეგონოსრა. ბევრი უბედურება, ბევრი ვაი-ვაგლახი გამოიარეს ქიზიყელებმა და მეზობლათ მცხოვრებმა კახელებმა. ეს ეველას მოყვსენება: მაგრამ ნათქვამია „ზოგი ჭირი მარტოებელიაო“ და სწორეთ ახლა კიდევცა თქმულება ქიზიყელ-კახელებზედ: ნაცრის გადავარდნა, რომელმაც ოცდა ათის წლის განმავლობაში ააოხრა მთელი საქართველოს ვენახები, თითქოს ამ შიმშილობას ელოდა. გაზაფხულზედ თავთავის დროს წვიმებიც უოველგვარის მოსავლის განმაცოცხლებლად სწორეთ შიმშილობის შემდეგ მოჰყვნენ; აბრეშუმის ჭიამაც კი ამ დროდგან იწყო თავისებური ხაიათების გაბმა-გამობმა. ამას მარტო კახეთ-ქიზიყზედ როდი მოგახსენებთ. ამას მარტო კახეთ-ქიზიყზედ როდი მოგახსენებთ. ესევე ითქმის მთელ საქართველოს შესახებ: ქართლში, იმერეთში, სამეგრელოში ნაცრის სინსილა ამოვარდა ქიზიყის დაშვევის დროს.

„ეს სამი ოთხი წელიწადია ცა მოწუალებით ეპურება გლეხის ნამუშავარს. მამ სიწრფოებით დავლიოთ „ქიზიყის შიმშილობის“ შესანდობარი და ვისურვოთ მისი ფესვი აღარ გადივდეს სახეურში!

„ეხლა ამ გაზაფხულზედ რომ უცხო კაცმა აიარ-ხაიაროს სიღნაღის აქეთ-იქით მდებარე სოფლებში და ათვალდროს მოსავლის ზირი, უთუოდ გულში გაივლებს „ქრისტე-ღმერთს თავის მოწუალების ზერანგი სუ აქეთობაში დაუბერტენიაო,“ – ისეთი მშვენიერება ეხლანდელი მოსავლის ზირი.

„ეხლა მაისის შუა რიცხვებია, მარამ წელამდის ეახები კი აფორიაქებულის ზღვასავით დეღვენ მცირე ნიავის დროსაც კი; ვენახები ხომ მეტის-მეტათ კარგს მოსავალს უქადიან ჩვენ კახელებს. მაგრამ მათ აფიქრებს მხოლოდ აღმოსავლეთით მოზირდაზირე კავკასიონის მოხუცი მთები, რომელნიც სეტქვას ძვირ-სტუმრად არ უხდიან მეზურმარილე კახელებს. საქმეორმოების და ქვევრების ევლის მოღერებაა. ერთი კაცისა არ იუოს—„მინამ ნახნაჲ-ნათესს არ მივიტან კალთზედ, არ გავლევწავ და არ ჩავალაგებ, სანამ მოსავალს არც ვაქებ და არც ვამაგებო.“ მართლაც, ვინ რა იცის მაისის ბოლო როგორ დაუვაკილებს მინდროს, ვინ იცის, გლეხს გაუძლის თუ არა იგი

შუბლის და კისრის ნაკეცებს.... კიდევ ვინ იცის, კახეთის მოსავალი გაისტუმრებს თუ არა ჰაოსის ჩამოძვალ მოვალეებს! ქიზიყისაკენ და სიღნაღში ეს რამდენიმე დღეა ქერები გაიჭრა, ახლა ახალი ქერი ისეიდება. ვნახოთ რას მოგვიტანენ წელიწადის დამავგვირგვინებულნი მაისი და ივნისი.“

– „ჩვენში რომ ტუის ფასი ბევრმა არავინ იცის სიმართლედ მეჩვენება.

„წარსულის მარტის და თებერვლის განმავლობაში თითქმის განუწვევტილი იწვოდა სოფ. ვეჯინს, გურჯაანს და მეღანის შუა მდებარე მშვენიერი ტუე. იმ სოფლის მცხოვრებნი, უძიისოთაც მეწუხებულნი უძემობით, რასაკვირველია უფრო შესწუხდებიან, უტუეობით. ამ ახლად გადამწვარის ტუეებიდამ გამოჰქონდათ შემა-ფიხნი ჯორებით, სარი ვენახებისთვის, ხე-ტუე და სხ. ხსენებულ თუეებში უოველ საღამოს თითქმის ერთი ვერსტის ოდენა ადგილი იწვოდა ბაბილონის სახმილივით და ტუის მასხურებელი კი არავინ იუო. სამინელი უზრუნველობა გამოიჩინეს ამ ტუის მეპატრონეებმა: ზედ არ შეჰხედეს და ბევრმა მათგანმა დღესაც არ იცის დაიწვა სადმე ტუე თუ არა.

„გლეხები შეჰურებდნენ ცეცხლით ვანათებულს და ვარსკვლავებით მოეღვარე ცას! ზოგი მათგანი ხელსაც ითობდა „საბძელი რო გეწოდეს, ხელი მოითბუვიო, იმისი არ იუვის.

„ღვთის წეალობა გაქვსო, როცა მეღანის მიატანა ცეცხლმა, რომ მეღანელები გამოცვივდნენ ბარ-ნიხებით და დაუწვეს არხებს ჭრა, ჩვენც არ დავიწვათო.

„ტუის წვა არაფერი. ს. ფხოველში დაიწვეს სახლების გადაწვა. მაგ. ნათლილება დამესთა. ზაქარია ანდრონიკოვს დაუწვეს შუაღამისას ბზით საფხე საბძელი; თ. სვიმონ ანდრონიკოვს (მიროვი ზობრედნიკს) დაუწვეს ფიცრული სახლი და სხვა რამდენი. ამაზედ ხმაც არავის ამოუღია, უარესი არ დაგუპართონო.....

„ვინ არის პატრონი?,,.....

ო მ ის ა მ ბ ე ბ ი .

კავკასიის სახლვრიდამ არზრუმისკენ სამი უმთავრესი გზა არის გაუვანილი. ერთი მიდის ახალაღციხიდან არტანსედად, მეორე გუმბრიდამ ეარსზედ და მესამე ერევნიდან ბაიახეთზედ. ზირველი და მესამე გზა ამ ჟამად, როგორც მოგეხსენებათ, დაჭერილია რუსისჯარის მიერ, რომელიც დიდ მანძილზედ არის წინ წამდგარი. ერევნის რაჰმსა, დენერალ ტერგუკასოვის წინამძღოლობით, ბაიახეთის გზაზედ უჭირავს კარაკლისი, რომელიც რუსებმა სრულებით უომროთ დაიჭირეს 23 მაისს.

არტანის ის გამავრებული ქალაქია, რომელიც ერთის მხრით იცავდა არწრუმის გზას, მეორის მხრით იმ გზას, რომელიც ბათუმიდან ეარსისკენ ოლთისსკედ არის გაუვანილი არტანის ალებამ ჩაუგდო რუსებს არწრუმის გზა და ესლა არტანისიდან წასულმა ჰოლკოვნიკმა კომაროვმა 21 მაისს დაიჭირა უბრძოლველად ქალაქი ოლთისი. აქ მეოფი ოსმალოს ჯარი არწრუმისკენ გაქცეულა. ჩვენებს დარჩენიათ ორი ათასი თოფი, დიდი სურსათი და ასი კარავი. ოლთისის დაჭერით რუსის ჯარმა შეპკრა გზა ბათუმიდან და არწრუმიდან ეარსისკენ. ოლთისიდან არწრუმამდე რუსის ჯარის წინააღმდეგობას თითქმის აღარ უძლის რა.

ეარსის ალებასაც ჩქარა მოელიან, რადგანაც მისი გარშემო გზები რუსის ჯარს უჭირავს და ოსმალოს ჯარი ვერსადგან ვერ მოჰსდგომია მისაშველებლად და სურსათის მისატანად. ეარსიდან არწრუმისკენ რუსის ჯარს თუ გაუჭირდება რამე სოღანდულის მთებზე გადავლა გაუჭირდება და მერე კი არწრუმის გზა სრულებით თავისუფალი იქნება.

ამ რიგად სამივე მხედრობის გზა არწრუმისკენ არის განთავისუფლებული და რუსის ხელშია. ოსმალოები, როგორც ეტეობა, თავის სამხედრო ძალას არწრუმისთვის ზოგვენ. იქ უჭირებენ რუსის ჯარს დახვედრასა. მაგალითებრ კარაკლისში დიდს ომს მოელოდნენ, მაგრამ ოსმალებმა ომი არ ინდომეს და უომრად დაჰსთმეს ეგ ადგილი. ეჭვი არ არის, რომ აქედამაც ოსმალოს ჯარი არწრუმისკენ გაემგზავრა. ერთი სიტყვით ოსნალეთის საქმე მცირე აწიაში ძალიან ცუდად მიდის. სტამბოლში დიდი დეღვაა ამის გამოისობით, მეტადრე მასაქედ რაც შეიტყეს რომ ეარსში ჯარისთვის უღუფა ნახევრადი შეუძვირებიათ.

— დუნაიის მხედრობის შესახებ ამ კვირია არა ვითარი შესანიშნავი ამბავი არ მოსულა.

25 მაისს ტურტუკაის და ოლტენიცის შორის ზარბაზნის სროლა გამართულა. რუსების არტილერიას დაუნგრევია ოსმალების სიმაგრენი ტურტუკაიში.

— ოსმალებისა და ჩერნოგორიელების შორის ქ. მარტინიხაში დიდი ბრძოლა გამართულა, ჩერნოგორიელებს გაუმარჯენიათ და გაუფანტავთ ოსმალები. რომელთა მხრით ათასამდე დახოცილი და დაჭრილია.

გარდა ამისა ჩერნოგორიელებს მეორე ომიც ჰქონიათ ოსმალებთან დუკიის ხეობაში, მაგრამ ოსმალებს დაუმარცხებიათ.

სახოლიტიკო მიმოხილვა

საზრანგეთი.

ახალს სამინისტროში ბურთი და მოედანი, როგორც ეტეობა, ბონაპარტიელებს დარჩენიათ. იმ მოხელეთა შორის, რომელნიც ახალის სამინისტროს მიერ არიან დანიშნულნი, უმეტესი ნაწილი ბონაპარტიელებს ეკუთვნით და უმცირესი ორღეანელებსა. ორღეანელებს და მეტადრე ლეგიტიმისტებს ძალიან სწეით ეს გარემოება და ეოფელ დონისძიებას ხმარობენ, რომ როგორმე გამოაცხადონ თავისი უკმაყოფილობა და უსიამოვნობა. იმ ორღეანელებს, რომელნიც სენატის წევრნი არიან, ამას წინადაკრება ჰქონიათ და გარდაუწვევტიათ, რომ თუ ვინცობაა მაკ-მაგონმა სენატს ესლანდელის ჰალატის სრულიად დათხოვნის ნება მოხთხოვოს, ჩვენ უარს ვეტეეთო. ჰალატის დაშლის ნებას მხოლოდ მაშინ მიუცემთო თუ ვინცობაა მაკ-მაგონმა სამსახურიდან გადადგომის სურვილი გამოაცხადაო. იმის თაობაზე თუ რაზედ ჰსდგანან ლეგიტიმისტები, აი რას იწერება მათი გასეთი:

„მარძალმა ის მოახდინა, რაც ჩვენ დიდი ხანია აუცილებელ საჭიროებად მიგვანდა. ჩვენ მხოლოდ ამას ვჩივით რომ მან უჩვენოდ მოახდინა ეს საქმე. მან ამით ის გვაჩვენა, რომ თავის ნებაზედ დიდის და მარტო თავის თავსა ჰრაცხს ჰასუნის მკებელად. მაკ-მაგონმა ისურვა ჰალატის უმრავლესობის ხელიდამ განთავისუფლება, და გაწვეტა ის ჯაჭვი, რომლითაც რესპუბლიკელებთან მიბმული იყო. ესლა ვნახოთ, როგორ გამოიქეენებს მაკ თავისუფლებას.

„ეოფელს გაბედულებითს მოქმედებას თავისი აზრი უნდა ჰქონდეს. რესპუბლიკელების დამარცხება რესპუბლიკის განმტეიცებისათვის—ეს სულელობაა. ეველა მკვლის-მოუვარეთა შეერთება რევოლიუციის ძირიანათ აღმოფხვრისათვის—ეგ მხოლოდ ერთი საფურთია წინად განსაზღვრულის საგნისათვის. აქვს მარძალს ეგ განსაზღვრული საგანი, თუ არა? ჩვენ ამას არ ვკითხავდით მარძალს თუ რომ ჩვენგან შემწეობა ეთხოვნა და ბრძოლაში ჩვენთვისაც მონაწილეობა მოეცა.

„მთავრობის მოქმედება იმ რიგია, რომ იგი ორ გვარს ბედს უქადის საფრანგეთს: ან სიკვდილამდე ჰრეზიდენტობას, ან იმპერიას. ჩვენ კი რომ არაფრად ჩავვაგდო,—ეგ ვერაფერი მადლის გადახდაა ჩვენ წინამე. სიკვდილამდე ჰრეზიდენტობა—არც მონარხიაა, არც რესპუბლიკა. ეგ ერთის გაცრუებაა და მეორის დღლატი. მოტეუება და დღლატი საფრანგეთის შეურაცხ-ეოფას შეადგენენ. იმპერიას კი ის შედეგი ექმნება რომ ისტორია სასტიკად დასჯის იმათაც ვინც შეცდომით მიემხრობა და იმათაც ვინც ცნობიერად მისკენ გადავა. ჩვენ არც ერთისა და არც მეორის „რანში იმ ჩავდებთ.“

ეს წემო მოკვანილი სიტყვები ცხადათ გვიჩვენებს, რომ ლეგიტიმისტები ძალიან მტკიცედ ადგანან თავის საგანს, ე. ი. ბურჰონების მონარხიის დადგენას საფრანგეთში და ეძინიანთ ბონაპარტიელებმა ჩვენის შემწეობით არ ისარგებლონ და თავისი საქმე არ გაიუვანონო ჩვენდა წინააღმდეგ. როდესაც საქმე ჰალატის დაშლასე მივარდება, მთავრობა, რასაკვირველია, სენატში ლეგიტიმისტებისგან თანხმობას ვერ მოიპოვებს, თუ რასმეს არ დაჰპირდა.

ეს გარემოება ცხადად გვიჩვენებს რესპუბლიკის მტერთა უძლეურებას. ამ ქამად თითქმის ვეგლა დარწმუნებულია, რომ თუ 16 (4) ივნისს მაკ-მაგონმა ჰალატის დაშლა მოიწადინა, სენატი არ დაეთანხმება და მაკ-მაგონი იძულებული იქნება სამსახურიდან გადადგეს. ესლაც ამბობენ თუ მის მაგიერი ვინც იქნება. ორლენელებს უნდათ ჰერცოგი ომალი (ლუი-ფილიპეს შვილი) ამოიჩინონ. გამბეტას უთქვამს თურმე, რომ ისევე ტიერი უნდა ამოვიჩინოთო. მაგრამ თუ საქმე ძალმომრეობასე მივარდა, შესაძლებელიაო, რომ მაკ-მაგონმა ლეგიტიმისტებსაცა ჰკრას ჰანდური და რესპუბლიკელებსაც. თუმცა ესლანდელი საფრანგეთი ის საფრანგეთი აღარ არის, როგორც ოცდა ხუთის წლის წინედ იყო და თუმცა ამ გვარი მოქმედება თვითონ მაკ-მაგონსა და მის მთავრობას ბოლოს მოუღებს, მაგრამ ამისთანა კაცებს არც დიდი ჭკუა, არც შორს მხედველობა მოეთხოვებათ. დახედეთ რა გზას დასდგომია ახალი მთავრობა. სამინისტროს მოთავემ, ბროლჰიმ შემდეგ ცირკულიარი გაუგზავნა ვეგლა ზროკურორებს: „რესპუბლიკის ზრეზიდენტმა აღადგინა კონსტიტუციის მიერ მიცემული უფლება და ახალს პოლიტიკას დაადგა ძველი სამინისტროს დათხოვნის შემდეგ. მან საპოლიტიკო ცხოვრებაში მხოლოდ მისთვის მიიღო მონაწილეობა, რომ მოესწო რადიკალების მოძღვრება, რომელიც არ შეშვენის არც საზოგადოებრივ მშვიდობიანობას, არც საფრანგეთის ღირსებას. კონსტიტუციის კანონებში არავითარი ცვლილება არ მომხდარა, და ამიტომ საჭირო აღარ არის განვიყოფოთ ის დარეგება, რომელიც მოითხოვს თქვენგან ამ კაკონონების ჰატვისცემას. მაგრამ თქვენ თვითონ იცით, რომ რაც უფრო მეტად აღიძვრიან პოლიტიკური ვნებანი, იმდენად უფრო მომეტებული სიფხისლე და სიმტკიცე უნდა იხმაროთ თქვენის მოვალეობის აღსრულებისათვის.

„იმ თქვენსედ მონდობილთ კანონთა შორის უპირატესობა ეკუთვნით მათ, რომელნიც ეხმარებიან წნეობას, საკუთრებას და საწმუნებებს—ამ უოველის განათლებულის საზოგადოების საფუძველთა.

„ჟურნალ-გაზეთობა მომეტებულად ამ კანონებს ერჩის სოლმე. ზოგიერთის განხეთების თანამშრომლები იმ ჰირთავანი არიან, რომელნიც დასჯილნი იუვენ კომმუნაში მონაწილეობის მიღებისათვის. ეს არას გზით არ უნდა შეიფეროთ. თქვენ უნდა მაცნობოთ უოველი შეურაცხ-უოფა და ავადსენება ჩვენის სახელმწიფოს მოთავისა. ამ ქამად უფრო მომეტებულად ვიდრე როდესმე, სხვა და სხვა დასის კაცები სცდილობენ, რომ როგორმე შეარეონ საზოგადოების მშვიდობიანობა. ეს კაცები უოველგვარ ჭორებს ჰერიან მის შესახებ ვითომ საფრანგეთს ომი მოეღისო. ამისთანა ჭორების მოხზობა თქვენი მოვალეობაა. ამ ჭორების გამგონს ეგონება რომ საფრანგეთში ჰსუფევის იმისთანა დასი, რომელსაც ომი ჰსურს. კანონი გამლევთ თქვენ ღონეს, რომ ეგ მავნებელი ჭორი მოხზოთ.“

ბროლჰიმ რომ თავისი სამსობლოს დახეხლება იცის მთელის ევროპის წინაშე — ეგ ახალი ამბავი არ არის. ახლა იფიქრეთ, რა სამინლად საწეენია საფრანგეთის მწივანობობისთვის ამისთანა ცილის წამება. ნემენცური განხეთები ამბობენ, რომ ამისთანა ცირკულიარი, როგორც ბროლჰიმ გამოსცაო, ჩინეთს თუ შეჰფერის, თორემ საფრანგეთის ოფიციალურის განხეთის საკადრისი კი არ არისო.

ამ ცირკულიარში კიდევ ერთი აღვილია შესანიშნავი. ბროლჰი მაკ-მაგონს „სახელმწიფოს მოთავს“ ეძახის. თვითონ მაკ-მაგონიც კი სშირად ამბობს: „ჩემი მთავრობა, ჩემი სამინისტრო“. ეს სახელები და სიტყვები სწორედ მონარხიას შეეფერება და არა რესპუბლიკის მთავრობასა.

— მაკ-მაგონი, როგორც მოგესწენებათ, მხოლოდ ლიტონი ჯარის-კაცია და ბევრი ლაჰარაკი და ქადაგობა არ უეწარს. მაგრამ ესლაც კი რაღაც დამართვია და ლაჰარაკის მადანედ მოსულა. ამას წინედ ორგან სიტევა წარმოხთქვა. თუმცა ორგანვე მეტად მოკლედ ილაჰარაკა და არც ძალიან ჭკუიანური რამ ჰსთქვა, მაგრამ რადგანაც მაკ-მაგონის სიტევის ჩეუულნი არ არიან, მთავრობამ ვეგლა კუთხეში და ვეგლა ბომსე გააკურეინა მისგან თქმული სიტევა. ამ მოკლე ხანში ხმა გავარდა რომ მერმის საქეეო გამოფენა აღარ იქმნებო. მაკ-მაგონი ამ ხმის დარღვევისათვის თვითონ წაბმანდა, დახედა მუშაობას და ჰსთქვა: „უნდა გაცნობოთ რომ გამოფენა დაიწება 1 მაისს 1878 წ., როგორც გამოცნადებული იყო. გარდა ამისა ამას მოგახსენებთ, რომ მე ვეცდები მრომის სიკეთედ და თავისუფლება დავიცვა.“ კომპიენში, სამეურნეო კრებაში მაკ-მაგონმა სხვათა შორის ჰსთქვა შემდეგი: „გაუწეებთ, რომ ჩემი აწინდელი მოქმედება, რომელიც მე კისრად მიღია მშვიდობას და

კმაყოფილებას გიქადისთ ვეველას და მეტადრე იმათ, ვინცა შრომობს. ამ მოქმედებით მე მიხდა მხოლოდ ჩე მსმთავრობას მივსცე ის ძალა, რომელიც საჭიროა გარეგანის მშვიდობიანობისათვის და შინაგანის სიმტკიცისათვის.“ აქ შესანიშნავი ის არის რომ მაკმაგონი წამ და უწუმ იხსენიებს, მშვიდობიანობის დაცვა მსურსო. ეტეობა მის მოქმედებას ძალიან დაუფეთებია ვეველანი, რომ ვეველას მშვიდობიანობას ჰხიზრდება. ზარბიელ კორესპონდენტს შემდეგი ლაზარაკი მოჰყავს ორის მუშისა: ერთი მუშა ეუბნება მეორეს, მას შემდეგ როცა მაკ-მაგონმა მშვიდობიანობა და კმაყოფილება დაუქადა მუშებსა: „ეხლა რაღა გიჭირს? ბედნიერი ხარ.“—ჰო, აქამდისინ მიჭირდა, ახლა რაღა უნდა მიშავდეს....ეხლა ჩემთვის ეოველ დღე კვირა არის *). ვისთანაც ვემუშაობდი ის მეუბნება, რომ ამგვარი მდგომარეობა ჯერ კიდევ დიდხანს გასწევსო. თუ მართლა დიდხანს გასწია, მარშალთან წავალ სამუშაოსა ვთხოვ და შევეხვეწები, ძალიან ფიცხად ნუ ეკიდება თავის ჰოლიტიკას, თუ უნდა რომ შიმშილით არ ამოვწოდეთ. თუ ეს მართალია, მამ თანაგრძობას არ უნდა მოელოდეს ახალი მთავრობა დაბალ ხალხშიაც. თუ ესეა, ბოლშეის სამისისტროს, რომ მაკ-მაგონს ხმელი ამოაღებინოს, რომ ნაპოლეონსავით შეუტეოს რესპუბლიკასაც, ხალხის სურვილსაც და სინიდისსაც. ვნახავთ მაინც ვინ წინ იქნება და ვინ უკან

იტალია. დეპუტატთა ზალატში რამდენსამე ზირს უკითხავს მთავრობისათვის თუ რა აზრისა არის იგი საფრანგეთის საქმის შესახებ. იტალიის გარემოე საქმეთა მინისტრს და სამინისტროს მოთავსე უთქვამთ რომ სხვის საქმეში გარევა რიგი არ არისო. მთავრობა დაწმუნებულაიო, რომ საფრანგეთს უყვარს იტალია; რომ კლერეკალების მანქანება ფუჭად ჩაივლისო. სამინისტროს მოთავსე სხვათა მორინ ჰსთქვა: „მთავრობა ცვალებადია, დღეს ერთია ხვალ მეორე, მაგრამ ერი კი უკვდავია. ჩვენ სრული ნდობა გვაქვს იმ ხალხისა, რომელმაც მიანიჭა ევროპას თავისუფლების სანარება და 1787 წლის (დიდი რევოლიუციის) დედა-აზრები. რაც უნდა დიდი შიში იეოს, დაწმუნებული იუავით, რომ თავის უფალის დასის კაცების ერთობა ვეველა შიშს წინ დაუდგება და გაიმარჯვებს. ჩვენი შეერთებული ძალა უფრო მომეტებულია, ვიდრე კლერეკალებისა.“

ამისთანა ლაზარაკი ვერაფრად მოეწონებოდა ზაზს, რომელიც ამ ქამად დიდ ეოფაშია.

*) მაკ-მაგონის საქციელთა ისე დაშინა ეველანი, ზომ მუშაობამ ერთთ იკლო და ბეკრი მუშა უსაქმოდ დაჩხა.

— 31 მაისს (ხვეწებურად 19) რომში დიდი ერილობა ეოფილა იმ ზირთა, რომელთაც ჰსურთ კლერეკალების მოძრაობას ბოლო მოუღონ. ამ ერილობაში ბევრი ცხარი სიტევა თქმულა ზაზის წინააღმდეგ.

— იტალიის მთავრობას გამოუცხადებია ზაზისათვის, რომ სასტიკად მოუკიდები სამღვდელოს ავმოქმედებასაო. ზაზს თავის მხრით უთხოვია ვიკტორემმანულისათვის—სარწმუნოების წინააღმდეგ ჰოლიტიკას დანებე თავიო, თორემ შენ მონარხიას ცუდი ბოლო მოეღისო. გარდა ამისა ზაზს უთქვამს, რომ საერო მთავრობას მეც წინააღმდეგობას გაუწეო, თუ რომ იგი სამღვდელოს ეწინააღმდეგებაო.

— ზრავის ახრიეპისკოპოსს გრძელი საუბარი ჰქონია ზაზთან. ლაზარაკი ჩამოვარდნილა მასზედ თუ რა მიხეზია, რომ ავსტრიაში ეპისკოპოსები იმ ცვლილების წინააღმდეგნი არიან, რომელთაც მთავრობა სცდილობს მოახდინოს სასწავლებლებისა და საერო ცოლქმრობის შესახებ. ახრიეპისკოპოსს უთქვამს თურმე რომ ავსტრი-ვენგრისის იმიტომ კი არ შემოაქვს ახალი წესიო, რომ მართლა მათის აუცილებელ საჭიროებას ჰხედავდესო, არამედ იმიტომ რომ ბერლინიდგან ავთნებენო. (გერმანიაში, როგორც მოგეხსენებათ, მთავრობა ძალიან სასტიკად ეკიდება კლერეკალებს).

ავსტრი-მუნზრია. რა გვარია ავსტრი-ვენგრისის მთავრობის ნამდვილი მიდრეკილება, ამას ცოტად თუ ბევრად გვიხვეწებს შემდეგი: ამას წინად ავსტრიის ხალხის განათლების მინისტრს ოლქების უფროსებთან საიდუმლო ცირკულიარი გაუგზავნია, რომლითაც მოუსურრებია შაიტეოს დაწვრილებით თუ რა ხასიათისა, რა ზნეობისა და მეტადრე რა ჰოლიტიკურის აზრისანი არიან ცისლეიტანის მასწავლებელნი. გარდა ამისა მინისტრს უკითხავს თურმე—მასწავლებელნი მღვდლებს რა თვალთ უქურებენო.

— ამას წინად ხმა დავარდა რომ გრაფი ბეისტი, ავსტრი-ვენგრისის ელჩი ინგლისის წინამე, სცდილობს ავსტრიას, ინგლის და საფრანგეთს ერთად მოქმედების შეკრულობა რამ დაადებინოს ოსმალეთის დასახმარებლათაო. მაგრამ ამ აზრს, როგორც ერთის ნემენცურის გაზეთის კორესპონდენტი იწერება, მომხრეები არა ჰყავსო ავსტრიის მთავრობის კაცთა მორის. იქნება ავსტრიის ჯარი კიდევ დაიდრასო და სერბიისაკენ წავიდესო, მაგრამ ამას არავითარი მნიშვნელობა არა ექმნება რაო, გარდა იმისა რომ მთავრობას სურს ამით მაინც გული მოუგოს ვენგრისას, რომელიც, როგორც მოგეხსენებათ, დიდად გადაძტერებულია რუსეთზედ.

შარშანაც გრაფი ბეისტი ჰსცდილობდა ინგლისისა და ავსტრიის გამეგობრობას, მაგრამ მოუცდა. ესლა, რასაკვირველია მაკ-მაგონს წაუხალისებია ბეისტი: ახალი საფრანგეთის სამინისტრო, როგორც ისმის იმასვე ცდილობს, რასაც გრაფი ბეისტი.

ინზლისი. საკვირველ სანახაობას წარმოადგენდა ამას წინად ინგლისის ქალაქი ბირმინგამი იმ დღეს, რა დღესაც გლადსტონს მოელოდნენ. ამ ინგლისის შუაგულ მდგომ ქალაქში გაიმართა ერთობა, სადაც გლადსტონს სიტყვა უნდა წარმოეთქვა. დიდძალი ხალხი მოგროვდა სხვა ქალაქებიდანაც; ბირმინგამის ქარხანებში მუშაობა შესწყდა; ერთის სიტყვით ნამდვილი დღესასწაული გაიმართა. ხალხი დიდის აღტაცებით მიუგება გლადსტონს და დიდის უოფით და სინარულის ხმაურობით გააცილა იგი იმ სახლამდისინ, სადაც ერთობა იყო დანიშნული. იმ ოთახში, სადაც გლადსტონმა სთქვა ქვემო მოყვანილი სიტყვა, ოცდა ათი ათასი სული დაეცეოდა და სულ გაჭედილი იყო.

ერთმა ამ მიტინგის წევრმა შემდეგი წინადადება შეიტანა და ბოლოს მიტინგმაც მიიღო: „მიტინგი იმ აზრისაა, რომ ოსმალეთმა თავისის უმზავსო მმართველობით დაკარგა უოველივე თანავრძობა ინგლისისა და არავითარს შემწეობას ინგლისისაგან აღარ უნდა მოელოდეს. ინგლისის ჰოლიტიკის სახელოვნება და განიერება იმაში უნდა მდგომარეობდეს, რომ მან თავისის სახელით იმოქმედოს და ეცადოს დაადგინოს თავისუფლება და თვითმმართველობა ოსმალეთის ახრებულ ქვეყნებში.“

წამოდგა გლადსტონი, ასტედა ერთი საშინელი ტაშის ცემა და როცა შესწყდა, დაიწყო თვისი საუბარი ჩვენ ამ საუბრიდან უფრო დიროს შესანიშნავს ადგილს ამოვწერთ.

გლადსტონმა ჰსთქვა, რომ სწორედ კაცს უნდა უკვირდეს კონსერვატორების დანის (ეხლანდელი უმაღლესი მთავრობა ინგლისისა ამ დანის კაცთაგან არის შემდგარი) განწყობილება და რიგზედ ეოფნაო. უფრო ადვილიაო დეპუტატთა ჰალატაში კაცმა იყოლიოს კონსერვატორების უმრავლესობაო ვიდრე ლიბერალებისაო. ამის ასახსნელად მოჰყავს შემდეგი მაგალითი. ძველ დროს იყო ორ გვარი ხელოვნება, ერთი ეგვიპტიური და მეორე ბერძნული. ჰირველი ხელოვნება უმრავობის გამოთქმელია, ხოლო მეორე, რომელიც უველა სხვა ხელოვნებაზედ აღმატებულია, გამომეტყველიაო სიცოცხლისა და მოძრაობისაო. „მე მკონია, ჰსთქვა გლადსტონმა: რომ კონსერვატორების დანი ძალიან ემკზავსება ეგვიპტიურს ხელოვნებასა, გარდა იმისთანა განსაკუთრებითის შემთხვევისა, როცა, მაგალითებრ, სერ რობერტ ჰილისთანა

სულგრძელებით აღსავსე და მამულის მოსივეარული კაცი წინ უძღვის ხოლმე ქვეყნის ბედსა, ეს მსგავსება იმაში ჰსხანს, რომ უმთავრესი იდეა კონსერვატორების დანისა ეგვიპტიური დედა-აზრია, ესე იგი, უძრაობა (აქ სიცილი ასტედა და ტაშის ცემა). ხოლო ჩვენი ლიბერალების დანი ბერძნულის დედა-აზრის მიმდევარია ე. ი. სიცოცხლისა და მოძრაობისა. როცა მთელი გროვა მზად გაკეთებული ღუსკუმებისა (სტაგუა) თვალ წინ უძრავად გვიდგა, მაშინ რასაკვირველია, ძალიან ადვილია მათი რიგზედ დადგინება და ერთს დონეზედ დაეენება. (სიცილი და ტაშის ცემა). მაგრამ აბა იფიქრეთ რომ ეს კონსერვატიული ღუსკუმები გაცოცხლდნენ, წარმოი-დგინეთ, რომ მათ მოუნდათ ბოლთის ცემა იმ სახლში, სადა დაუგროვებიათ; თუ ეს მოხდა, თქმა აღარ უნდა, რომ მათი ერთს რიგზედ განწყობა, მათი მოვლა ფრიად ძნელი იქნება. ამიტომაც ჩვენთვის სირცხვილი როდი უნდა იყოს აღვიაროთ, რომ ჩვენი (ლიბერალების) რასმები ჯეროვანს რიგზედ დადგენილი არ არის (ტაშის ცემა). „ამის შემდეგ გლადსტონი გადადის ინგლისის მთავრობის ჰოლიტიკაზედ და ამბობს:

„ჩვენ ცხადი, დაურღვეველი საბუთები გვაქვს, რომელთ ძალითაც შეუძლებელია დავენდოთ ჩვენის მთავრობის ჰოლიტიკასა (ტაშის ცემა). რა ჰოლიტიკა არის მთავრობისა დღეს? (ტაშის-ცემა) რა ჰოლიტიკა იქნება ხვალ? (ტაშის ცემა) რა ჰოლიტიკა იყო მაშინ, როცა ლორდმა ბიკონსფილდმა თავისი სიტყვა წარმოსთქვა გილდგოლმში, როგორი იყო იგი, როცა ლორდმა სალის ბიურმა მოჭრით გამოჰსთქვა სტამბოლში გრძობა ინგლისელთა? (ტაშის-ცემა). მთავრობის ჰოლიტიკაა! რა ჰოლიტიკაა ეგ ჰოლიტიკა? განა ეგ წაჯეგ-უკუჯეგის და აქეთ-იქით ტოკვის ჰოლიტიკა არ არის? (სიცილი და ტაშის-ცემა). საუბედუროდ, მე ვხედავ რომ იგი ჰოლიტიკა მხოლოდ მაშინ მიდის ჯეროვანს გზაზედ, როცა ხალხის სურვილისზედ-მოქმედების ქვეშ არის და როცა კი მავ ზედმოქმედების ქვეშ არ არის, იგი სხვას, ცდომილს გზას დაადგება ხოლმე.“ (ტაშის-ცემა).

ამის შემდეგ გლადსტონს მოჰყავს იმის მაგალითები რომ მთავრობა ერთს დროს ერთს ამბობდაო, მეორეს დროს სრულებით სხვასაო; რომ ჩვენ ამ ქამად ორი მთავრობა გვუვასო, ერთი, რომელსაც მიჰყავსო ჰოლიტიკა იქით, საითაც იწევს ჩვენის ხალხის სურვილიო, და მეორე იგიო, რომელსაც უფლება ხელთ უჭერია და რომელიც, ხალხის ხმა მიჰსწვდება თუ არაო, ისევ ძველს გზას უბრუნდებაო,“ როგორც ძაღლიო თავის სადგურს ანუ როგორც ღორი წუმპეს, რომელშიაც გორავსო.“ (აქ ტაში დაუკრეს).

ამის მერმედ გლადსტონი უმტკიცებს, რომ ხალხის სურვილს მთავრობის გარდა სხვა მოწინააღმდეგეც ჰქავს და ამ მოწინააღმდეგეთ უჩვენებს დეპუტატთა ზალატს. ამის დასამტკიცებლად მოჰქავს ზალატის საქციელი მაშინ როცა ირჩეოდა თვითონ გლადსტონის წინადადება, *) რომელიც ზალატმა ხმითა უმრავლესობით უარ-ჰყო. ამის შემდეგ გლადსტონი განაგრძობს:

„რის მიხედვითა ჰყო უარი ზალატმა? ვითომ რისა შეეშინდა? ნუ თუ მისი, რომ ჩვენ გვინდოდა აღსრულებულიყო დიდებული საქმე კაცთ-მოუვარებისა და ზატიოსნებისა, რომელიც დიდის-ბრიტანიის სახელს მოუზოვებდა სიუვარულს და ზატივის ცემას კაცთ-მოუვარებისა და თავისუფლების გამო შრომისა და ღვაწლის დადებისათვის. არა, ამისი სრულიადაც არ შეშინებიათ. იმათ ეშინოდათ, ჩვენ არ დაგვეპროვლებინა მთავრობა იმის ცდაში რომ დაეცვა ბრიტანიის სარგებლობა და მშვიდობიანობა, რომლის დაცვაც მაშინ, როცა ამაზედ ბანასი გვქონდა, შეუძლებელი იყო, რადგანაც ჩვენის უთავ ბოლოსა და გარყვნილის ზოლიტიკის გამოისობით მშვიდობიანობა დარღვეული იყო კიდევ. „ტაშის-ცემა“

ამის მერმედ გლადსტონი ამბობს რომ ჩვენ უნდა მოვიქცეთ ისე რომ ზოლიტიკა ჯეროვანს გზაზედ დავაყენოთ და იმის თაობაზედ მთავრობას და დეპუტატთა ზალატს რაც შეგვიძლიან უნდა ვეწინააღმდეგოთ. „ჩვენ დარწმუნებული ვართო, რომ ჩვენი ქვეყანა ჩვენკენ არისო (ხმამალალი ტაშის-ცემა). მე ამაზედ კიდევ მეტს ვიტყვიო: ღირს საცნობი ეს არისო, რომ ჩვენს ქვეყანას ჩვენი მხარე უჭირავსო.“

(შედეგო იქნება).

წვერილი ამბები. 25 მაისს საღამოს რვა საათზე ხელმწიფე იმპერატორი და მისი მემკვიდრე ცესარევიჩი ზლოუმტში მიბძანებულან. ბრაილოვის სადგომს მის იმპერატორების დიდებულებას მიჰკებებიან დუნაის მთავარ-სარდალი და დიდი მთავარი ვლადიმირ ალექსანდრეს ძე და ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე უმცროსი.

ქალაქმა ზლოუმტში *), რუმინიაში მცხოვრებმა ბოლგარელებმა და რუმინიის სამღვდელთა დეპუტატთა

*) უმთავრესი საგანი ამ წინადადებისა იმაში მდგომარეობდა, რომ ოსმალთს გამოუტყდათო, რომ ამ ბოროტების შედეგ რატ ზადინათ თავის ქვეყანაში, მას ჩვენი იქვე ნულარ ექსეპთა და სხვანი.

*) უბინატიკის სადგურია დუნაის მხედრობისა.

დახვედრა ხელმწიფე იმპერატორს და ზურ-მარლი მიავება. მიტრანოლიტმა რემოკმა სიტყვა მოასწენა ხელმწიფე იმპერატორს, ხატი მთავრა და დალოცა. საქალაქო სასწავლებლის ემაწვილმა ქალებმა ყვავილების კონა მიართვეს. ქუნაში, რომელსედაც ხელმწიფე იმპერატორს უნდა გაეცლო, ჯარი იყო ორ ზირად დამწკრივებული. დიდის სინარულით მიჰკებებიან ხალხი; ქალებს მუაჯრებიდამ სუდ ყვავილები უფენიათ. 27 მაისს ხელმწიფე იმპერატორი წაბძანებულა ბუნარესტში რუმინიის მთავრის სანახავად, რომელიც თავისის მეუღლით ბუნარესტის რკინის გზის სადგომზედ მოჰკებებიან. იმავე დღეს ოთხ საათზე ხელმწიფე იმპერატორი ისევ ზლოუმტში მობძანებულა.

– რუსეთში ბრძანება გამოსულა, რომ 218 ათასი კაცი უნდა ხელახლად მოიკრიფოს ჯარისათვისაო.

– ოსმალეთის მთავრობა ეოველს დონისძიებას თურმე ხმარობს, რომ სუეცის არხზედ მავალთა არა რაიმე ჩხუბი არ შეეშინვათ. ამ არხზედ სიარულის ნება ეველა ხალხის გემებსა და ხომალდებსა აქვსთ გარდა იმ ხომალდებისა, რომელნიც რუსის დროშის ქვეშ იმეოფებიან.

– გობართ-ფაშა შავი ზღვიდამ სტამბოლში მისულა სამის ბერძნის ხომალდით, რომელნიც ზურით ეოფილან დატვირთულნი და რომელნიც შეუშრიან ბლოკადის დარღვევისა გამო.

– ალექსანდრიაში (ეგვიპტეში) ოსმალეთის სამხედრო ხომალდები მისულან ეგვიპტის ჯარის წამოსაყვანად.

– ის ზრეზიდენტი ზარიქის მუნციზალის საბჭოსი, რომელიც წარსულ ნომერში მოვიხსენიეთ, ასე დაუსჯიათ: ერთის წლის და სამის თვით დაუტუსადებიათ და ორი ათასი ფრანკი ჯარიმა დაუდვიათ. ეს ზრეზიდენტი ასე დასაჯეს იმიტომ რომ ერთს კერძო ყრილობაში მაკ-მაგონი ავად უხსენებია.

– ბერლინის გაზეთებს ხელმეორედ დაუწვიათ საფრანგეთზე აურ-ზაურად ლაზარაკი. ივინი ეოველ დონისძიებას ხმარობენ რომ საფრანგეთს სახელი გაუტეხონ მთელის ევროპის წინაშე და მეტადრე იტალიაში. ამისთანა ქცევა გერმანიისა დიდად აღელვებს თურმე საფრანგეთსა.

ინგლისის გაზეთს ზარიქიდან სწერენ რომ გრაფმა მუვალოვმა რუსეთის ელჩმა ინგლისის წინაშე, წერილი უნდა წარუდგინოს ინგლისის მთავრობასაო და ამ წერილში მოხსენებულია თურმე რომ რუსეთი ეცდებოა ინგლისის საჭიროებას არავითარი ვნება არ მიაყენოსო. გარდა ამისა მოხსენებულია თურმე, რომ რუსის ჯარი, თუ საჭიროება მოითხოვს,

დროებით დაიჭერს სტამბოლსაო იმ განზრახვით, რომ ოსმალეთი უფრო მტკიცე მორიგებაზე დაიყოლიოსო. იმავე გაზეთში ჰსწერია, რომ მოლაპარაკება ზავის ჩამოგდებას შესახებ, რომელიც ვითომ გერმანიის შუამდგომლობით უნდა მოხდესო, სულ ტყუილიაო და ღონღონში არავის არა სჯერაო.

– მეორე ინგლისის გაზეთი ამბობს, რომ ბისმარკის პოლიტიკა ეხლა ცხადიაო. ბისმარკმა კარგად იცისო გერმანიის ღონე და ძალიო; კარგად იცისო, რომ ამ ოცნის წლის განმავლობაში გერმანია ხელში ჩაიგდებსო ევროპის იმასო, რასაც ენგლანდის ხელისუფლებამ ხელში იქონიებსო. რუსეთი თავის ბედის წერას აპოლიაო ბისმარკი დიდი ხანია შეუერთდებოდა ინგლისსაო, მაგრამ ვერ დანდობიაო. ბისმარკს ვითომ უთქვამს: „როგორ ვენდო ინგლისსა მაშინ, როცა თვითონ მისმა მთავრობამაც არ იცისო, იქ საზოგადოების მიდრეკილება ხვალე რა გზას დაადგება. იქ მთავრობა ერთს გზას ადგა, საზოგადოება მეორეს. ნემენცების საქმე კი სრულებით სხვა არის: ნემენცები ჩემკენ იმიტომ კი არ არიან, რომ იმათ ვითომ ძალიან უყვარდნენ—პირიქით ვმუღვარ კიდევ, მაგრამ იმიტომ არიან ჩემკენ, რომ მე მათს ნამდვილს სარგებლობას მივსდევო.“

ერთგვარაფიული განხილვა ძველთა და ახალთა კანა-დოკიის ან ჭანეთის მკვიდრთა მოსახლეთა.

საქართველოს ერი, ენისა და ლაპარაკის მიხედვით, განიყოფება ორად: პირველსა შეადგენენ: ქართველნი, ე. ი. მცხოვრებნი: ქართლისა, კახეთისა, იმერეთისა, გურეთისა, სამცხე საათაბაგოსი, და მეორესა: მეგრელნი და ჭანელნი მოსახლენი სამეგრელოსი და ჭანეთისა ან ძველის კანადოკიისა.

ძველი კანადოკია მდებარეობდა მცირის აზიის შუაგულში და იყო მოსამზღვრე ჩრდილოეთით შავიზღვისა ლიხის მდინარის შესართავიდან, ვიდრე ქალაქადმდე რისა; სამხრეთით კილიკიის მთებისა (აწ ბულღარ და ალადადი); აღმოსავლეთით კოლხიდისა (აწ ოსმალეთის საქართველო), ამის შემდგომ ადგილებისა და ხალხთა, რომელნიც არ ეკუთვნოდნენ არცა საქართველოს ნათესავთა, არცა სომეხთა, (1) და ამათ უკან ეფრატის მდინარისა და მცირე სომხეთისა; დასავლეთით ჰალიზის ანალაზონის მდინარისა,

(1) სტრაბონი, წიგნი 12. §. 1. ეს ადგილი არის ბაზიანი და აზიურის მხარე.

რომელიც განჰყოფდა კანადოკიის მხარეთაგან შავიზღვისა, გალატისა, ფრიგიისა და ლიკიისა (1).

დროსა სპარსთა ფლობისა, ე. ი. ხუთის საუკუნის წინათ ქრისტეს შობისა კანადოკია შეადგენდა ორს საერისთოსა ან სატრანპიასა (2). პირველი საერისთო იყო კანადოკია ხმელეთისა, მეორე კანადოკია შავის ზღვის ნაპირისა; ორივე საერისთონი განისაზღვრებოდნენ სციდიის მთებითა (აწ ჭანეთის მთები). საზოგადოდ სივრცე კანადოკიისა ფრიგიიდან, ვიდრე ეფრატის მდინარემდე იყო 1800 სტადიონი (3) და სივანე შავის ზღვიდან ვიდრე კილიკიის მთებამდე 3,000 (4).

I. კანადოკია ხმელეთისა იყო უწველო ადგილი, ცხელი, მოუსავლიანი და უნაყოფო. სამხდვრის ნაპირებსა მოუდიოდნენ მდინარენი ხალისისა და ეფრატისა და ორნი სხვა მდინარენი პრწყამდნენ მცირეს სამხრეთის ნაწილსა, რომელ არიან მდინარე პირამისა (აწ ჯეიხუნი), ჰქონდა წიაღი ღრმა და ნავით საუფელი, მდინარე საროსისა (აწ სარანსუ). ამათ გარდა ჰქონდა რამთონივე წყაროები, რომელნიც ერთვიდნენ მარლით სასეთა ტბათა. ამ მდინარებსა და წყაროებს სათავე ჰქონდათ მთებში, მთები სციდიისა მოსცვიდნენ ჩრდილოეთის მხარესა და ტავრისა სამხრეთის ადგილებსა.

ხმელეთი-კანადოკია სტრატონის დროს განიყოფებოდა ათ სამოურავოდ: ხუთნი მდებარებდნენ ჩრდილოეთის კერძოდ, ე. ი., ლავინიასენი (აწ არაბკირი), სარგარასენი (აწ სივა), სარავენი (აწ ვიშერი), შამანენი და მორიმენი (აწ უსგეთი); და დანარჩენნი ხუთნი სამხრეთის კერძოდ: მელიტონა (აწ ძალატა ეფრატის პირზედ), კატაონია (აწ ალადადი), კილიკია (აწინდელნი თემნი: იჭილი, ტარსუ, ადანი და მარაში), თიანეთი (აწცა თიანეთი) და გორხაურეთი (აწ აკსერი). მელიტონე იყო ნაყოფიერი ადგილი, რადგანაც ეფრატის მდინარე პრწყავდა, სასე ხეხილითა და ეურმითა. აქაური ღვინო ჩინებული იყო მთელსა საბერძნეთში. ამ თემის ქალაქი მელიტონე იყო აშენებული, როგორც მოუთხრობს ძველი თქმულობა, ასურეთის მეფის სემირამიდისაგან. კატაონია იყო მთებთა შორის

(1) სტრაბონი წიგნი XII, §. 1; პლინი წიგნი VI, თავი 19.
 (2) გ. აკროტო. წიგნი III, §. 90, 94.
 (3) სტრაბონი 569 ფუტია, ფუტო აზის კრთის საკენის მეშველი ნაწილი.
 (4) სტრაბ. წ. 12, §. 4.

დაბლობი და ვრცელი ადგილი. მთებში იზოვებოდნენ ვიწრო ხეობანი. ერთს ამისთანა ვიწრო ხეობაში მდებარეობდა ქალაქი კომანა, სადაცა აშენებული იყო ბელლონის ტაძარი, რომელსაც აქაურნი მოსახლენი უწოდებდნენ მად. ქალაქი იყო ძალიან ვრცელი და მოშენებული. მუნებურნი მოსახლენი განიყოფებოდნენ ქურუმებად და მონებად; მონები ემსახურებოდნენ ტაძარსა, რომლისა ქურუმთ-მთავრად ნიადაგ იყო თვით მეფე კაპადოკიისა. თიანეთი იყო მთიანი ადგილი, სადაც ვიწრო მთებში გზა გავიდოდა კილიკიად. თიანი (აწნიგდე) იყო დედა ქალაქი ამ თემობისა, ძალიან მაგარი, მოზღუდვილი ქვითკირის ზღუდითა და დაფუძნებული ქვაურილზედ. ამ ქალაქის ახლოს, მთის თხემზედ იყო აშენებული ტაძარი სახელსა ზედა: დიანა (დმერთა ჰერამისა). დედა ქალაქი ხმელეთის კაპადოკიისა იყო მაზაკა (აწ კესარია) აღშენებული არგოსის (აწ ერჯიშის) მთის კალთაზედ და მდებარე მზის გულზედ, უწელო მოუზღუდავი და უსაუფო. (1).

მკვიდრი მოსახლე ხალხი კაპადოკიაში იყო უვიცი და ველური, განუხსნელი გონებითა და უმეცარი ხელოვნებისა, არ ჰქონდათ არცა წიგნი, არცა წერილი, თუმცა ჰსცხოვრებდნენ სამუაღ განათლებულთა ერთა შორის, ერთის მხრით ბერძენთა და მეორეს მხრით ასურელთა. წინაპირველად ჰმონებდნენ ასურელთა, მერმე მიდიელთა, და მიდიელთა შემდგომ სწარსთა, სწარსთა მეფემან დაროზ. ხუთასის წლის წინათ ქრისტეს შობისა, დაიპყრა კაპადოკია და განჰყო ორ საერისთოდ ან სასპასხეტოდ (სატრანა ბერძენთა). პირველი სასპასხეტო იყო ხმელეთისა, ან დიდი კაპადოკია და მეორე კაპადოკია ზღვის ნაპირისა, ან მცირე. როდესაც სწარსთა სამეფო შემცირდა, მაშინ კაპადოკიის ერისთავთა მიიღეს ხარისხი მეფობისა. მეფე არარატ II იყო თანამედროვე ალექსანდრე მაკედონელისა, რომელიც განიძო სამეფოთგან 322 წელსა ქრისტეს უწინ. ამისმა შვილმან არიარატ III, სომეხთა მეფის შეწვევითა, დაიპყრა სამკვიდრო თვისი და შერთო თავის შვილსა არიარატ IV ქალი თეოს ანტიოხიის მეფისა: არიარატ VIII ჰსცხოვრებდა დროსა მეფობისა დიდისა მიტრიდატსა VII, რომელმანც მოჰკლა იგი და დაიპყრა მისი საბრძანებელი. რომის იმპერატორმან ტიბერიმ მოსპო კაპადოკიაში მეფობა 17 წელსა შემდგომ

ქრისტეს შობისა (1) შემდგომ განუოფისა რომის საბრძანებელისა ორად, კაპადოკია დარსა მონებას ქვეშე ვიზანტიის იმპერატორთა. პირველს საუკუნეში ქრისტეს შობიდან ხმელეთის კაპადოკიაში იყვნენ მრავალნი ქრისტიანენი, და მესამე და მეოთხე საუკუნეში აქ არ იზოვებოდა არცა ერთი კერპთ-მსახური. ამ დროს კაპადოკიაში იყო ორმოცდა ათი საეპისკოპოსო საუდარი ან ეპარხია: კესარიისა, ნისისა, თერმისა, ტიანისა, ციბისტრისა, ნაზიანზისა, მელიტინენი, კომანისა და სხვანი (2). ჩინებულნი მღვდელ-მთავარნი ამ ადგილისანი იყვნენ: წმინდა გრიგოლ თაუმატერგი, წმინდა ვასილი კესარიელი; წმინდა მაკრინე და მისი, წმინდა გრიგოლ ნისელი და სხვანი მრავალნი სახელ-განთქმულნი და ჩინებულნი მწერალნი.

თუმცა ეპარხიები მრავალი იყო ხმელეთის კაპადოკიაში, გარსა ხალხს არა ჰქონდა წერილი, არც ნათარგმნი სამღვთო წიგნები, თვით სამღვთო მსახურებას აღასრულებდნენ ეკლესიებში ბერძნულ ენაზედ, მღვდელნიცა თითქმის უმეცარნი იყვნენ ხალხის ენისა. ამ გვარი ხალხის დაბრძობა და უვიცობა ქრისტიანობის სწავლისა იყო მიზეზი, რომელ 1192 წელსა, ოდესაც ოსმალთა დაიპყრეს მცირე აზია და დაარსეს იკონიის ქალაქს მეფობა, ხალხმა ადვილად და ძალის დაუტანებლად მიიღო მაჰმადის საწმუნოება და დაივიწყა თავისი ენა.

ორსავე კაპადოკიაში მცხოვრებნი ხალხნი იყვნენ ერთისა ნათესავისა და ლაპარაკობდნენ ერთსა და იგივე ენაზედ. დასამტკიცებლად ამისა გვაქვს ჩვენ პირველი უწევბა სტრაბონისა (3), რომელიც მეთორმეტეს წიგნის დასაბამში დარწმუნებით ამბობს: „სახელი კაპადოკიელი ეკუთვნის სრულებით ერთს ხალხსა, რომელნიც არიან ერთ ნათესავნი და ლაპარაკობენ ერთს ენაზედ და სახლობენ შემდგომთა საზღვართა შორის: სამხრეთით მთა კილიკიის ტავრი, აღმოსავლეთით სომხითი, კოლხიდა და მათ შორის ადგილები და მცხოვრებნი, მოლაპარაკენი უცნოს ენაზედ; ჩრდილოეთით ჰონტოს ზღვა, შესართავადმდე

(1) სტრაბონი წიგნი 12. §. 3.

(1) კლიაინის ისტორია კაპადოკიისა, სენარტენის სტატიები საზოგადო ისტორიულს ლექსიკონში ფრანტუულს ენაზედ, ტაპოტ. 1811—1852; სტრაბონი წიგნი 12, §. 3.

(2) ტექსიუს აღწერა ოსმალისი ან მცირე აზიისა ფრანს.

(3) სტრაბონი წიგნი 12. § 1. ტაპოტკული ფრანტუულად 1814. ატრეოვე ტარდიუს ნათარგმნი ტაპოტკული პარიჟი 1873 წელსა.

პალიზის მდინარისა, დასავლეთით ზაფლავონია, გალატია, ფრიგია და ლიკონია.

მეორე § სტრატონი კიდევ განიმეორებს წინა თქმულსა. ამ გვარს ღირს შესანიშნველს ჩვენებას ჩვენ არ დავიჯერებდით, თუ გვცოდნოდა, რომ ამას სტრატონი ამბობს გაგონებით, ვითარცა მრავალნი უწეებანი ღეროდოტისა. სტრატონს თვითონ გამოვჰყევართ ამ გვარს ეჭვისაგან, როდესაც მოგვითხრობს, რომ მისი სამშობლო ქვეყანა იყო კანადოკია, დაიბადა ქალაქსა ამასიას მდებარესა ირისეს მდინარეზედ ჰონტოში, დედა ჰევიანდა ნათესავით ჭანი და ქალი ჩინებულის ერისთავისა, რომელიც ზატივცემული და მიხნეული იყო დიდის მიტრიდატისაგან ჰონტოს მეფისა. თავის სამშობლო ქვეყანას სტრატონი გაგონებით არ იცნობდა, და როგორც გვაუწევებს, თითონ მოეულო მთელი კანადოკია და არ გაგონებით აღეწერა, არამედ რაც თავისის თვალთ ენახა და გამოეძია. რასაკვირველია უწეება ამისთანა მწერლისა არ იქნება ტყუილი და დაუჯერებელი; ამის გარდა ზღინიცა გვარწმუნებს, რომელ კანადოკია იყო ერთი და განუყოფელი ქვეყანა (1).

მეორე, მრავალი სახელები ადგილთა, მათა, ქალაქთა, მდინარეთა, მდებარეთა ხმელეთის კანადოკიაში, როგორც ჰსჩანს კინარტის ქარტისაგან, მცირის აზიისა, აწცა არიან ქართულნი, მაგალითად: თეში თიანეთისა და ქალაქი თიანი (აწ ნიღდე) ქართულად ჰნიშნავს მთებიანს ადგილს და თვით საქართველოშიც არიან თეშითიანეთისა (2); ჩხორუმი, დაბა მდებარე მახლობელი ამასიის ქალაქისა; თავია, დაბა მდებარე ჩრდილოეთით კიშერის ქალაქისა; მუჟური, დაბა, მდებარე სამხრეთით კიშერის ქალაქისა; თამარძე, დაბა მახლობელ ქალაქისა კესარიისა; მუჟური, დაბა მახლობელ კესარიას ქალაქისა, ურგუბა (ორგუბე უნდა), მახლობელ აგრეთვე კესარიის ქალაქისა; სარმურ-სახლი, აგრეთვე დაბა მუნვე; ჭიჭაკის მთა მახლობელ კიშერის ქალაქისა; ერჯიში მთა, მახლობელ კესარიის, ბოცოს მთა კილიკიაში; თეჯირის მთა, მახლობელი სივას ქალაქისა; აცმურის მთა, მახლობელი მილეტინის ქალაქისა; გაცურის მთა, მურაშინის ქალაქის დაბლა; ჭილობის მთა; ჩხატალი; ორთავეის ორთავეის მთა, მახლობელ ნიღდის ქალაქისა; ფარხალი, მახლობელ საროს

მდინარისა; დედა მთა, მახლობელ საროს მდინარისა. საჯი ხალფა, ღეოღრაფიის მწერალნი, მუსულმანი მოიხსენებს რამთონთამე ადგილთა, რომელიც ქართულია, მაგალ. ქუთაია, გომიში (კამბეჩი მეგრულად), ჭალა, ტაზისკარი (ტაშისკარი); თავ-მანი, მენდერი (მდინარე), ბანა, ენგური, კარიბაზარი, და სხვანი. 1)

ამათ გარდა მრავალნი ადგილები, მდინარეები და ქალაქნი ზაფლავონიაში ან სხვათა ადგილთა იწოდებიან აქამოდე ქართულის სახელებითა მაგალ. ენგური, ერთი ტოტი ზაგარის მდინარისა, ქალაქი ენგური (მეფელი ენგური); მენდერხაი, ბერძნულად მენდერი ე. ი. მდინარე, ქალაქი ქიზიკი, მდებარე მარმარილოს ზღვის ზირზედ; თემნუს ე. ი. თეში მიზიაში და სხვანი მრავალნი.

მესამე, -ზნე, ჩვეულობა, ეოფა-ქცევა, შინაგანი ცხოვრება და თვით მმართველობაცა, აგრეთვე ცეცხლის მსახურება ჰქონდათ კანადოკიის ხალხთა სრულიად მსგავსი ძველისა წესისა, ჩვეულობისა, ეოფა-ქცევისა და სხ. ძველთა ქართველთა (2). მეოთხე, -რადგანაც კანადოკიის კანადოკიის ხალხსა ჰქონდა მონათესაობა საქართველოს ხალხთან, ამითი განიმარტების სურვილი კანადოკიის სულიერთა მამათა დამეარება საქართველოში ქრისტიანობის სარწმუნოებისა. მოსულნი ამ აზრით იოანე ზედაძნელი თორმეტის მოწაფეებითურთ, რომელთაც სახელები არიან: დავით გარესჯელი, სტეფანე ხირსელი, იოსებ ალავერდელი, ზენონ იეალოელი, ანტონი მარტყოფელი, იასე წილკნელი, თათე სტეფან-წმინდელი, შიო მღვიმელი, ისიდორე სამთავნელი, აბიბოს ნეკრესელი, მიქელ ულუმბელი, ზიროს ბრეთელი და ილია დიაკონი არ იყვნენ მესოპოტამიელნი, არამედ კანადოკიელნი, ამიტომ რომ ძველნი მწერალნი კანადოკიელთა რაცხამდენს სირიელად, ან მესოპოტამიელად (3). თუ ქართული ენა არ ჰსცოდნოდათ ამ წმინდანებს საქართველოში ვერ გაბედამდენ მოსვლასა და ვერც მოიმოწაფებდნენ ხალხსა. ესეც უნდა ვსთქვათ რომ წმინდა გიორგი იყო კანადოკიელი და ამის გამო მთელს საქართველოში ძალიან ზატივცემულია, ამ წმინდა გიორგის მონათესავე იყო წმინდა მოციქულთ-სწორი ნინო, აგრეთვე კანადოკიელი და მცოდნე ქართულის

(1) წიგნი 6, თავი 3
(2) სტრატონი წიგნი 12 § 9; ტექსტიეს აღწერა მტორის აზიის, ტე. 567.

(1) ნახე ეივიან ს. პარტენის ღეოღრაფიული აღწერა მტორის აზიის, ტეკრლი 188 და შექტომნი.
(2) სტრატონი წიგნი XV, ტეკრლი 733.
(3) ტექსი, მტორი აზია ტეკრლი 500.

ენისა. უამისოდ არ შეეძლო ქადაგება ქრისტეს სარწმუნოებისა და მოქცევა ქართველთა. უდაბნოში ცხოვრება წმინდათა სულიერთა მამათა კახადოკიაში იყო ძალიან გავრცელებული, რადგანაც კლდეებში მრავალი იყო გამოკაფული ქვაბები და სადგომი სახლები, როგორც საქართველოში უფლის-ცისხე და სხვანი. ამ ქვაბებში ჰსცხოვრებდნენ მეუდაბნოეები, რომელთაგანცა ჩინებულნი იყვნენ სვიმეონ დიდი მესვეტე (390–460); სვიმეონ მცირე ავრეთვე მესვეტე (521–592). ეს სვიმეონ მცირე იყო მიხეხი საქართველოში გამოგზავნილისა წმინდისა იოანე ზედაძნელისა მოწაფეებითურთ. ხსენებულთა წმინდათა განავრცელებს და დაამყარეს შერეული ცეცხლ-მსახურთაგან ქრისტეს სარწმუნოება საქართველოში, რადგანაც თვით იყვნენ ქართველნი, ამათ შემოიღეს წელთ აღრიცხვა იულიანისა, რომის კეისრისა და ახალის წლის დაწეება იანვრიდგან. რომელიც დაწმინდა აქამომდე.

დავით ჩუბინოვი.

(შეძვენი აქნება)

**შურნალეზიდან და ბაზეთეზიდან ამოკრეფილი
ა ბ ბ ბ ბ**

– Тифлисский Вѣстник-ში ჰსწერია: „ამერიკელმა უფ. იერემია კურტინმა, რომელიც ამას წინად აქ ჩვენში იყო, ღონდონიდან გამოგვიგზავნა ორი წერილი. წინადვე დაბეჭდილი ინგლისის ჟურნალში „Daily News“. მეტი არ იქნება რომ იგი წერილი მთლად მოვიყვანოთ:

„გუშინდელი და დღევანდელი განხეთები სულ იმის აღწერაში არიან, რომ ოსმალებმა კავკასიაში გაიმარჯვეს და ვითომ უფრო დიღს შესანიშნავი გამარჯვება შავის ზღვის ჰირებზედა აქვთო. რადგანაც ჩემთვის ცხადია, რომ ამ აღმწერელთა უმართლო ცნობები მოჰყავთ, ამისათვის იქნება უაღაგო არ იქოს ზოგიერთი შენიშვნა წარმოვადგინო შესახებ შავის ზღვის ნაწილების მდებარეობისა და მნიშვნელობისა.

„წიწველი ამბავი, ღონდონში მოსული, ის იყო რომ ოსმალებმა ბიჭვინტას სროლა დაუწყეს და ზღვის ნაწილს ათასი კაცი გადმოსხნესო.

„მეორე ამბავი მოვიდა, რომ ქალაქი და ციხე სოხუმისა იერიშით აღებულ იქმნა შემდეგ საშინელის ბრძოლისაო; ამის აღებაში ოსმალებს დაეხმარნენო ადგილობრივი მცხოვრებნი, რომელთაც თოფი არადი ოსმალებმავე დაურიგესო; ვითომ მთელი ის

მხარე აჯანყდაო; რუსთა მცირე აზიაში სვლა ძალიან დაუბრკოლდათო ამ შესანიშნავის გამარჯვების გამო და ეს არის მიხეხიო, რომ რუსის ჯარს ეგრე უგვიანდება არზრუმში მისვლაო. ეს პოლიტიკური მსჯელობა აქაურის განხეთებისა რომ წაიკითხოს კანცმა, ძალა უნებურად დაეთანხმება იმ შენიშვნას, რომელიც გლადსტონს წინაღებისა-გამო ითქვა პარლამენტში: ძალიან კარგი იქნებოდაო, ითქვა იქ, რომ ჩვენს შემამულეებსა უფრო რიგანად შეესწავლათ ფიზიკური გეოგრაფია და უფრო მომეტებულად ჰსცოდნებოდათ ვიდრე აქამომდე.

„მე არა ერთხელ გამოიტარებია რამდენიმე თვე შავის ზღვის ნაწილებზე და მკონია, რომ მისი ვითარება ზედ-მიწევნით ვიცი. მე დაახლოვებით მქონია მისვლა-მოსვლა აფხაზეთთან, რომელთაც უპირით ადგილნი გავრიდამ დაწკობილი აფხაზეთის სამეგრელოსთან შემაერთებულს ინგურამდე. მე მქონია ცნობა აფხაზეთა შორის იმისთანა კაცებისა, რომელნიც უფრო გამოჩენილნი და გავლენიანი არიან. ბევრჯელ დამივლია ის მხარე სოხუმის მახრისა უფროსთან ღენერალ კრავჩენკოსთან ერთად და მქონია შემთხვევა ადგილობრივთა მცხოვრებთა მომეტებულის ნაწილის განცობისა. მცხოვრებნი, ადგილობრივის ჩვეულებისა მებრ, გუნდ-გუნდად მოეკებებოდნენ სოლმე თავიანთ უფროსსა.

„რა არის თვითონ აფხაზეთი თავისის უწირატესი ქალაქით სოხუმით ან თავისის უწირველესის ადგილებით გავრით, ბიჭვინტით, ოჩქმირით და გუდაუთით (რომელიც აქ გადანცად გადუსხვაფრებით)? ეგ ერთი ვიწრო ზოლად წაღებული ადგილია ზღვის ნაწილისა, რომელიც იწეობა დასავლით გავრიდამ და მიდის სამხრეთ-აღმოსავლეთად ინგურამდე. ზღვის ჰირის გაყოლებასეჲდ სერი მოსდევს, რომლის წვერი ექვსას თუ რვაას ფუთის სიმაღლეზეა და რომლის მთებიც ზოგიერთს ადგილს თვითონ ზღვაში ჩადის. ეგ მთის სერები ზოგან ისეთი დაქანებულებია, ისე ნაირად დაწვეტილია ზღვაში, რომ მაგალითებრ, გავრამი ავღარისდროს ზღვისღელვისაგან სრულიად შეიკვრის სოლმე ზღვის ნაწილის გზა. ამ სერს იქით მოსდევს დიდი კავკასიის მთები. ამ ორთა მშვენიერ მთათა შორის ბევრი ღამაზი ადგილია საცხოვრებლად, მაგრამ ესლა იქ მცხოვრებნი არ არიან. კავკასიაში რომ ომი გათავდა იქაური მცხოვრებნი იქიდან გადიუვანეს.

„ამ სახით საკუთრივ აფხაზეთის მოსახლეობა სიმსავით გაჭიმულია ზღვის ნაწილის გაყოლებასეჲდ.

აფხაზნი ნახევარნი ქრისტიანები არიან და ნახევარი მაჰმადიანები და წარმართნი: საერთოდ ითქმის, რომ იმათი რჯული და სარწმუნოება მეტად არეულია და ცნობაში მოუყვანელი. წებელდელების გარდა (ზატარა დაბაა ზემო კოდორზედ, ოცდა ათს მილზედ სოხუმიდამ), ეველა ეს ბატონები ვერაფერი მეომარნი არიან; ამათ თავის დღეში არ მიუღიათ მონაწილეობა კავკასიის ომებში. ინგურზედ მცხოვრებნი სხვა და სხვა ტომის ხალხია: აქ ბევრი მეგრელია მართლმადიდებელი ქრისტიკის სარწმუნოებისა, მთელს ზღვის ნაპირის განზიდულობაზედ კერხიდან გაგზამდე ერთი ჩერქეზიც არ არის. ჩერქეზები სულ ეველანი, თითქმის ნახევარ მილიონამდე, აქედამ წინადვე გადასახლებულ არიან. გაგრიდამ ინგურამდე სამოცი ათასი აფხაზი ჰსცხოვრებს. ინგურიდამ კი რაიონამდე სულ მეგრელები არიან და სრულიად ერთგულობენ რუსეთსა ისე, როგორც თვითონ რუსნი. ენა ამათი ქართულია რიონიდან ნიკოლაევსკამდე, ანუ ნიკოლაევსკის სიმაგრემდე, როგორც აქაური განეთები უწოდებენ, არ ვიცი კი რა საბუთითა, იმიტომ რომ ნიკოლაევსკი არა ვითარნი სიმაგრე არ არის; იგი ერთი რაღაც უბედური ზატარა სოფელია და სხვა არაფერი. იქაური მცხოვრებნი გურულები არიან, წმინდა ქართულის მოლაპარაკენი და ამ ქამად რუსის ჯარში მებრძოლენი. ეირიმის ომის დროს გურულებმა ძალიან გამოიხინეს თავი ომარფამის ლაშქრის წინააღმდეგ.

„მაშასადამე თუ ოსმალი მიიმხრობენ ვისმეს შავის ზღვისპირის მცხოვრებთაგანს ნიკოლაევსკიდან ვერხამდე, ეგ მარტო ერთმუჭა აფხაზებს, რომელთა ქვეყნიდან ოსმალები ვერც იქით წასდგენ ფეხს, ვერც აქედ. მე ამით ის მინდა ვსთქვა, რომ რუსეთის მტრისათვის აფხაზეთი სრულიად გამოუსადეგია იმიტომ რომ აფხაზეთზე ვაა არ არის არც ერთს შესანიშნავ ადგილამდე და მისი დაპრობა ვერაფრით ვერ შესცვლის რუსთა სამხედრო საქმეთა მდინარეობას. იმისთანა ადგილი, როგორც სოხუმი, ადგილი ახალგაზრდა. იგი დგას სულ ტრიალსა და არაფრით არ გამაგრებულს ზღვის ნაპირის ადგილზედ. მთელის კავკასიის ზღვის ნაპირზედ ერთს ცინესაც ვერ იპოვით და სწორედან რომ ვსთქვათ, იქ იმისთანა ადგილიც არ არის, რომ გასამაგრებლად ღირდეს. რომ ევირიან ოსმალებმა კავკასიაში ამ გვარად და ამგვარად გაიმარჯვეს, ეგ იმისთვის ევირიან რომ ტუილ-უბრალოდ მტვერი ააქენონ. სოხუმი, ნიკოლაევსკი, ბიჭვინტა—ეს ასეთი შეუნიშნავი, უბრალო და ზღვის მხრით ღია ადგილებია, რომ იმათი დაპრობა ეოველ წუთს ადვილად შესაძლოა. ამათ დაპრობას

ბევრი არა უნდა რა: სამეოფია რომ მტვერმა სულ ცოტა ჯარი გადმოიყვანოს ნაპირზედ და ადვილად დაიჭერს. სოხუმი, გაგრიანი მართალია დღესაც არის ძველი ციხეები, მაგრამ დაქცეულნი არიან. იგინი ამენებულნი ივენენ მარტო იმისათვის რომ ის ადგილები დაეცვათ მთიულთა ზედმოსევისაგან და არა იმისათვის რომ გაემაგრებინათ ზღვის მხრით. ამ უკანასკნელის შემთხვევისთვის ისინი სრულიად უქმნი იქნებოდნენ.

„რაც შეეხება მას ვითომ ბათუმთან მისულს რუსის მხედრობას ზურგთ უკან ხალხი აუჯანდლო, ეს სრულიად ლაპარაკადაც არა ღირს. იგი ხალხი, რომელსედაც ამას ამბობენ, ვაჟაკურად ებრძოდა ომარ-ფამას უწინ და ესლაც იმავე ვაჟაკობით დახვდება ეოველს მტერს რუსეთისას, რომელიც რუსეთის საზღვარს ფეხს გადმოადგამს. ესლა რომ ოსმალი გადასულა რუსეთის საზღვარს,—ეგ ისეთივე უგუნურებაა, როგორც ეირიმის ომის დროს იყო. დიდ-ძალი მხედრობა მიადგა იმ დროს სამეგრელოს და ვერა გააწყო რა, მაშინ, რდესაც ის მხედრობა რომ ეარსისათვის მიეშველებინათ იქნება რუსებისათვის ალვა აქსნებინებინათ და გადაეჩინათ ეარსი. ნეტა ოსმალები რისთვის აფუჭებენ ტუილ უბრალოდ ტუილა წამალს იმისთანა ადგილების დასაპრობლად, რომელთაც არავითარი სამხედრო მნიშვნელობა არა აქვთ და ამის მაგიერ რატომ ეოველს ძალას და დონეს იქ არ შეჰკრებენ, სადა არსებითი საჭიროება მოითხოვს?—ეგ თუ მოხდით იმათ, იმ გამოუთქმელის გონიერებით მოხდით, რომელიც მათ ამ საჭიროების დროს ეოველს საქმეში წინ მიუძღვისთ“.

—1865 წ., საფრანგეთში Voucluse-ის დეპარტამენტში ზირველად შემხნეულ იქმნა ვაზის სნეულება, რომელიც, როგორც მერმედ გამოჩნდა, მცირეს ჭიის ფილოქსერისაგან წარმომადგარყო. ვაზი, რომელსაც მიესევა ეგ ჭია და რომელსაც სნეულების ნიშანი შეემხნევა ორ-სამს წელიწადში სრულიად ხმება და იღუპება. სნეულების მიხეზი ის არის, რომ ეგ ჭია, რომელიც ერთის ზაფხულის განმავლობაში ექვს შვიდ თაობას აჩენს ხოლმე და რომელიც ამის გამო სამინლად მრავლდება, ვაზის ფესვის ძაფებს ჰსჭამს და ამით მიწიდან სასრდელის წოვნის სახსარს სრულიად უსპობს ვაზსა.

ეგ ჭია ორ გვარად გადადის ადგილიდან ადგილს: ერთი გადაცოცდება ხოლმე ერთის ვაზიდან მეორეზედ, და მეორე—როცა ზაფხულის ბოლოს ერთას შეისხამს და მიწიდან ძალდა ამოდის, ქარს გადააქვს კარვა მანძილზედ. რამოდენა ვნება მიაქენა მაგ ჭიამ საფრანგეთს ეგ იქიდანა სჩანს, რომ იქაურმა მთავრობამ ორასი ათასი ფრანკი დანიშნა ჯილდოდ

მისთვის, ვინც რაიმე უებაზს წამალს აღმოაჩენს ამ ჭიის ამოსაგდებად. ვენახების გადახმობა ამ ჭიისაგამო ძალიან განხორდა საფრანგეთში და დღე და დღე მატულობს. 1872 წ. ეგ ჭია გამოჩენილა ვენის ახლო, 1874 წ. ბონის სიანლოვეს, მას შემდეგ იგი უნახავთ გერმანიის სხვა და სხვა ადგილებში და წარსულს წელს კი ვენგრიამიც მივიდა და ძალიან განხორდა. ეველასედ უფრო გამოხადევი წამალი ის არის, რომ წამთრობით ვენახი წყლით უნდა მოაღწოს თურმე ერთი ორმოცი დღე, მაგრამ ეგ წამალი ეველა ვენახს ვერ მოუხერხდება. მთავრობა კი ხმარობს იმ სამუალებას, რომ ჭიანს ვაზს აწვევინებს და თვით ჭიას მიწაშივე სოცს რაიმე საწამლავითა, რომელთაც შორის გოგირდის-სახშირ-დედა (сернистый углеродъ) უფრო გათქმული. იმ ქვევებში, სადა კი ეგ ჭია გამოჩენილა მთავრობას დიდ ძალი ფული გადაუღვია ჭიის განსწვევტად და გაფუჭებულის ვენახების ძირიანად ამოსაგდებად. მაგალ. საკმაოა ვსთქვათ, რომ ამისთვის ვენგრიამი შარშან მთავრობამ ოთხმოცი ათასი გულდენი გადაჰსდო, თუმცა ჭია ჯერ კიდევ კანტი-კუნტად იყო გამოჩენილი. რაცა ვსთქვით ეოველივე ეს დიდად საფიქრებელია და რუსეთის მევენახეებმა გულ-ხელ-დაკრფით კი არ უნდა დაუწეონ ღოდინი, არამედ წინაღვე უნდა იღონონ რამე რომ ამ უბედურებას ძალა მოაკლონ. თუ საქმე ვენახების ამოგდებაზედ მივარდებთ, ვინ არ იცის, რომ ეგ ვერაფერი წამალია; თუნდ ეგ არ იყოს ის ღონისძიება, რომელსაც ხმარობენ ხოლმე ჭირიანის საქონლისა გამო სრულიად ამაოა ამ თვალთ უხინო ჭიის წინაშე. ძირიანად ამოგდება სხეულის ვაზისა და დაწვა მართლა შველის, თუ დიდის ეურადლებით თვალს ადევნებენ სხეულების გაჩენას და თუ მაგ ღონეს სხეულების დასაწეისშივე იხმარებენ, ესე იგი, ჯერ როცა მარტო თითო ოროლა ვაზია ავად. ამ ღონით მართლა შეიძლება შეაქნოს კაცმა სხეულება განვრცელება. მაგრამ მაგ ღონის მოხმარება მაშინ, როცა რამდენსამე დღიურსეა სხეულება მოდებული, თავს არ მოვა: ან რა ხეირია რომ ჭიის ამოსაგდებად კაცმა ვენახი ამოაგდოს. ამ ღონეთა შორის, რომელნიც ამ ქამად მოხალებულ არიან, მე ეველასედ მეტად შემდეგნი მიმაჩნია.

1) ვენახების ზატრონმა უსათუოდ უნდა იცოდეს რა სახის ჭიან ფილოქსერა, რომ გაჩენისვე უძალ იცნოს. რა წამსაც უღონო ვაზსა ნახავს, მაშინვე გაუსინჯოს ფესვები და ათვალეიროს ჭია ხომ არ გაჰსჩენია და ფესვის წვრილ მაფებსედ ამუწუკებული ხომ არა აქვს რა. რადგანაც ეოველს ვენახის-ზატრონს არ ძალუძს ამის რიგინად გამოძიება, ამიტომაც ან თვით ერობამ, ანუ მთავრობამ ეგ გამოძიება უნდა მიანდოს იმისთანა

კაცს, რომელიც ამ საქმეში დახელოვნებულია. რა წამსაც შეამჩნევენ რომ ვაზს ჭია ახსენია, მაშინათვე როგორც ის ვაზი აგრეთვე მის ახლო-ძახლო მეოფნი უნდა ძირიანად დაიგლიჯოს და იქავ დაიწვას, ამასთანავე უნდა დახოცონ თვით ჭიებიცა. ამისათვის უნდა ორ ადღამდე ჩაითხაროს მიწა და შივ ჩაისხას გოგირდიანი ნახშირ-დედა. ჩათხრილს მაშინვე უნდა გადაუღვოს თავი თიხით, თორემ გოგირდიანი ნახშირ-დედა სწრაფად ორთქლად იქცევა და წავა. რასაკვირველია აქ კაცი ხარჯს არ უნდა მოერიდოს, ბევრგან უნდა დააკეთოს ორმოები იმ ადგილების ახლო-ძახლო, სადა სხეული ვაზი იყო და გოგირდიანი ნახშირ-დედა არ უნდა დაიშუროს. ესეა მიღებული რომ თითო ვაზსედ სამი ამისთანა ორმო უნდა გაკეთდეს და თითო ორმოში 50 გრამში წამალი უნდა ჩაისხას.

2) მარტო ამ გვარი ღონე სამეოფი არ არის. ცნობილია, რომ ზოგიერთი ჯიშის ვაზს ამერიკისას ან სულ არ ერჩის ეგ ჭია და თუ ერჩის ბევრს არას აკლებს. ამ ვაზთა შორის უფრო გათქმულია ერთგვარი ვაზი, რომელსაც Taylor-ს ეძახიან და რომელსაც სრულად არ კარგება იგი ჭია. ამისათვის საჭიროა ის ვაზი გააჩინოს თესლის დათესვითა ამოგლებულის ვაზის ალაგსა, და მერმედ მასედ ამეხოს რა გვარი ეურძენიც კაცს უნდა. უძნობელად იმ ვაზის დაგდება არ ვარგა, რადგანაც ამერიკის ვაზის ეურძენს გემო არ უვარგა. მენობა ძალიან უხდებაო, მწერს მე დ-რი ბლანკერნგორნი კარლსრუედამ და რქის გადარგვითაც კარვად ხეირობსო. კიდევ ვიტყვი, რომ რაც დღევანდლამდე ღონეა მოხალებული ესენი ეველასედ ნამდვილად და უკეთესად მიმაჩნია.

ზემოხსენებულის ვაზის Taylor-ის თესლი ერთი ღოტი ღირს სამ-აბასად ადვილობრივ. ვისაც სურს შეიძლება დაიბარონ ამ ზედ წარწერილობით: **Въ Дирекцію императорскаго Никитскаго сада въ Ялтѣ, въ Крыму.**

(№ 70, Од. В. Цобель, №4, 1877 г. отч. засѣд. Кав. Об. Сельс. хоз.)

— ესლა ხან შემოუღიათ ზარიში რაღაც გვარი ქალაღდი, რომლის შემწეობითაც ადვილად შეიძლება კაცმა შეიტყოს თურმე ღვინო ბუნებითის ფერიისაა თუ შეღებილი. ეს ქალაღდი შეუღებავს წითელს ღვინოში რომ ამოავლოთ ციაგს ცისფერს დაიჭერს თურმე და როცა გაშრება ტყვიის ფერად გადაიცვლება. და თუ ღვინო შეღებილია ეს ქალაღდი სხვა და სხვა ფერს მიიღებს ხოლმე იმის მიხედვით, თუ რით არის შეღებილი ღვინო. მაგ. თუ აწვლით არის შეღებილი, მაშინ ქალაღდი ღია-მწვანის ფერს მიიღებს, თუ სხვით რითიმე, სხვას ფერსა.

– ამერიკიდან ერთი უცნაური ამბავი მოსულა, რომელიც რუსულ გაზეთს **Нива**-შია მოყვანილი. მეტად დაუჯერებელი რამ არის და თუ მართალია მატად ღირს საცნობია. ვითომ პროფესორს გრეგამს-ბელს სალემში (მასაჩუსეტის შტატშია) მოუგონია ტელეგრაფისავით მკზავსი რაღაც, რომლისათვისაც ტელეფონი უწოდებია და რომელსაც ძალიან დიდს მანძილზედ გადააქვს თვითვეული ხმა, სიტყვა, მთელი მოთხრობა ვისიმე და გალობაცა. ამ ახლო ხანში თურნე უცდიათ მრავალთა დამსწრეთა წინაშე ის ტელეფონი და ეველა განცვიფრებულა. სალემსა და ბოსტონს შუა ოცდა შვიდი ვერსტი მეტია. ბოსტონში დაკრული საკრავზედ ხალხური სიმღერა იმ ტელეფონისშემწეობით სალემში ღიცვის წალაში ისმოდა თურმე კარგად და გარჩევით და აქ მოგროვილი ხალხი ცხარეთ ტაშსა ჰსცემდა. უფ. უატონმა, ვექილმა პროფესორის ბელისა სალემში, მადლობა უთხრა აქ მდგომარე საზოგადოებას თანაგრძნობისათვის, და ზედ დაატანა: მე მოხარული ვარო, რომ დღეს მე შეძლება მომეცა აქედამ ოცდა შვიდს ვერსტზედ საზოგადოებას გამოველაწარაკო ისე თითქო მის შუა ვიდგო. ეს სიტყვები გარჩევით გაიგონეს თურმე ბოსტონში. სიმღერა სალემში ნათქვამი გარდაცემულ იქმნა ტელეფონით ბოსტონში და სალემში კიდევ მოისმა რომ ბოსტონის საზოგადოება იქიდან ქების ტაშს უკრავდა. ამ სახითვე ამ ორ ქალაქთა შორის ღაწარაკი გაიმატა და რასაც ბოსტონიდან ჰკითხავდნენ სალემიდან მასზედ ზასუს აძლევენ.

ვინ იცის მართალია თუ არა ეს ამბავი და თუ მართალია შაბაშ ადამიანის ეოვლად ძლიერებასა....

ჩვენი ისტორიისთვის მასალა.

(შექვეთ.)

ღროთა ამათ შორის ბრძანა ხელმწიფე იმპერატორმა, რათა იმერეთის, სამეგრელოსა და გურიისა მდღელ-მთავართა საქმენი, და სასულიეროთა განკარგულებათანი, და წესდებანი საეკლესიოთა მამულთანი იქმნენ მსგავსად ვითარცა არს რუსეთსა შინა. ამისთვის მოვიდა იმერეთსა შინა საქართველოს მიტროპოლიტი და ექსარქოსი თეოფილაქტე და რა იწუო იმერეთსა შინა დაწუობა მსგავსად რუსეთისა სასულიეროთა საქმეთა, დიდად ეუცნოათ იმერთა, ვინაღან ჯერეთ არა ივენენ ჩვეულნი ესე ვითართა

დაწუობილებათა და განკარგვათა, და არა ინებეს და ქმნეს ამისთვის ბუნტი და აღრეულება და განდგენ იმერნი რუსთაგან. მაშინ რა იხილა თავისი თავი ექსარქოსმა თეოფილაქტემ შეურაცხ ქმნილი იმერთაგან და არც უსმენენ მის მიერ მოძღვრებასა, კვალად წარვიდა საქართველოდ.

ამისთვის ინება ხელმწიფე იმპერატორმა და გარდადინეს იმერეთის მმართველი კურნატოვსკი კი არწმუნეს იმერეთის მმართველობა ზოლკოვნიკს ივან ონიფრევიჩს ჰუზირევსკის და უბრძანეს ჰუზირევსკის და წარიუვანეს რუსეთად ქუთათელ მიტროპოლიტი დოსითეოსს წერეთელი, გენათელ მიტროპოლიტი ეფთვიმი გურიის ერისთვისძე, და ამათთან ზოლკოვნიკი თავადი სეხნია წულუკიძე და თავადი დავით მიქელაძე, რომელნი ივენენ მსაჯულნი იმერეთისანი. სოლო გზასა ზედა გარდაიცვალა ქუთათელ მიტროპოლიტი და დაფლეს ანანურს და სხვანი წარიუვანეს რუსეთად და ამისთვის აბაშიძე იოანე ქაიხოსროს ძე, შვილის შვილი დედით ზირველი მეფის სოლომონისა, გაიქცა და წარვიდა გურიას და მივიდა ქაიხოსრო გიორვი გურიელის ძესთან, ვინაღან სწამობდნენ ბუნტის თაობას რუსნი. მაშინ წარვიდა იმერეთის მმართველი ზოლკოვნიკი ჰუზირევსკი რამდენითამე მხედრობითა გურიას რათა სთხოვოს ქაიხოსრო გურიელის ძეს იოანე აბაშიძე და უკეთუ არა მოსცენ მას მაშინ მოიხმაროს ძალი მათზედ. და რა მივიდა მახლობელად შემოქმედის ციხესა დასტოვა მხედრობა და თვით სუთითა თუ ექვსითა ცხენოსანითა წარვიდა შემოქმედის ციხესა ზედა სასაუბროდ ქაიხოსროსა. და რა მივიდა ციხესა ზედა ვერ ნახა მუნ ქაიხოსრო გურიელის ძე, ვინათგან იგი წასულიყო სხვასა ადგილსა, და რა დაბრუნდა ჰუზირევსკი კვალად თვისთა მხედრობათა თანა; გარდმოეგებნენ მეციხოვნენი მომავალსა გზასა ზედა და მოჰკლეს ზოლკოვნიკი ჰუზირევსკი. და რა ესმათ სიკვდილი ჰუზირევსკისა გურულთა არა იცოდენ თუ ვითარ იყო შენდომა ესე, და ამისთვის ჰქმნეს ბუნტი და დაუწეს ცემა თოფთა ფიცხელი მხედრობათა და გრეთვე მოადგენ ჩონატეულს დაბანაკებულთა რუსთა, ვინაღან იქ დიდი ხნით იყო კვარტიონ და შემოხლუდეს და დაუწეს იქაცა ფიცხელი სროლა.

სოლო რა ესმა ესე მთავარსა მამიას სიმონის ძესა გურიელს ძესწუნა ფრიად და წარგზავნა ეოვლენით კაცნი და დაითხოვა ესე ვითარს საქციელს გურულნი, წარმოივანა მხედრობა რომელი ახლდა ჰუზირევსკის და დაადგინა სასახლესა თვისსა ოსურგეთს და მისცა გამოხსნადელი და დაიფარა ეოვლითურთ. გარნა იმერეთს იქმნა დიდი ბუნტი და აღრეულება, და

*) „ივერია“ № 5.

მიდრეკენ კნინდა ეოველნი იმერნი რუსთაგან, გარნა რუსთა ერთგულებდა წერეთელნი ზურაბ და ძმის წული მისი, ქაიხოსრო ზაზუნას ძე და სხვანიცა წერეთელნი, და რომელიმე წულუკიძენი, და სამი ძმა ავიაშვილნი, და ჩხეიძენი. ამისთვის საქართველოს უპირატეს მმართველმა ერმალოვმა წართავლინა მხედრობითა ღენერალ მაიორი ალექსეი ალექსანდრევიჩი ველიამინოვი დასამშვიდებლად იმერეთისა; და რა მოვიდა ქუთაის ნახა რომელ ზრავიანტი არა არს საკმაო ქუთაის მხედრობისათვის, ამისთვის სთხოვა მთავარსა ჩვენსა ლეონ გრიგოლის ძეს დადიანს, ვინათგან გურუელნი ორგულებენ რუსთა და აქვს დავით გურიელის ძეს რიონის ჰიბი შეკრული რათა არა მისცეს ნაბადადამ ზრავიანტი რუსთა, ამისთვის ჰქმენით შეწევნა და ნაბადადამ მოიტანეთ ზრავიანტი მარანს საჭილაოდისაო. უსმინა მთავარმან ჩვენმან, ვინათგან თანშობილად ქონდა ერთგულება რუსეთის იმპერატორისა, და ჟამსაცა ამას დაიცვა სამფლობელო თვისი შერევისაგან და ეგო მიუდრეკელ ერდგულად ხელმწიფე იმპერატორისა, ამისთვის მიბრძანა ძე წარსვლა დაქსნულება ღენერალის ველიამინოვის თხოვილისა; და წარმატანა ძე მდივან ბეგი თავადი როსტომ სახლთ-უხუცის ძე ჩიქოანი, და რამოდენიმე სამეგრელოს მხედრობა წარვედით და მივედით საჭილაოს რუსთან.

მარწმუნესძე, ბატალიონი ერთიდა წარვედ და მიველთ რა ნაბადას შევკრებე მრავალნი ნავები საჭილაოდამ და შთავიდეით ზრავიანტი თვისის საომარებითა, და წარმოვედით რათა დავიფაროთ მტერთაგან წულით მიმავალი ზრავიანტი და რა წარმოვიდეთ მცირედი ნაბადადამ და გვზნდა დავით გურიელის ძე გურულთ შეკრებულებითა და შეგვექმნა ბრძოლა, დაუწვეთ ერთმანერთს საკმაოდ სროლა, და შემდგომად სამის საათის ბრძოლისა განუდევნეთ ისინი და გაუაქციეთ, და ჩვენ წარმოვიდეთ ზრავიანტი და მოვიტანეთ მარანხედ უკნებულად. ამისთვის და ესე ვითარისა მსახურებისათვის ხელმწიფე იმპერატორმან ძე მომიბოძა ჯილდოთ ამისა სიკვდილამდინ ჰენცია; ხოლო როსტომ მდივან ბეგს ჩიქოანს ზოთხორუიკობა, რომელმანცა ბრძოლასა მას შინა მამაცური სიმხნე წარმოაჩინა წინაშე ჩემსა. კვალად სთხოვა ღენერალმა ველიამინოვმა მთავარსა ჩვენსა ამოტანა ზრავიანტისა, მაშინ თვით წარვიდა ნაბადას, რადგანაც ისმოდა დიდი მხადება გურულთაგან დახლომისა და წამოიღო მრავალი ზრავიანტი და ვერდა შებედეს დახლომა გურულთებან და მოიტანა ზრავიანტი მარანხედ. ოდეს ნახა ღენერალმა ველიამინოვმა საკმაო

ზრავიანტი, ამით განმლიერებულმან იწყო საქმე და წარგ ზავანაპოლოკოვნიკი თავადი გარნაკოვი მხედრობითა დასამშვიდებლად რაჭას და მოვიდა და ეოველნი ურხნი მოსწვა და მოაოხრა; შეიპურა წულუკიძე გიორგი და მერაბ და სხვანიცა მრავალნი თავად აზნაურშვილნი და ერთგულთა მისცეს წყალობანი და ესრეთ დაამშვიდა რაჭა და შთამოვიდა კვალად ქუთაის.

შემდეთ შეუდგენ და მშვიდებანა იმერეთისასა, მრავალნი მოჰკლეს, მრავალნი შეიპურეს და ძელსა ზედა დამოჰკიდეს, და ესენ თავს და მოჰკლეს დავით ბაგრატიონი დიდის მეფე სოლომონის ძმის წული ბაგრატიის შვილი, გარდაყარეს ვახტანგ ბაგრატიონი დავით მეფის არ კანონიერის შვილის შვილი და მასთანა იოანე აბაშიძე და სხვანიცა მრავალნი თავად აზნაურნი და წარვიდენ ოსმალთა თანა ახალ-ციხეს. ხოლო ერთგულნი აღავსეს წყალობითა და ესრეთის მოქმედებით დაამშვიდეს იმერეთი: შემდგომად იწყო მომხადება და შემდგომად მომხადებისა წარვიდა ღენერალი ველიამინოვი გურიად დიდი ძალითა მხედრობითა მოადგა ციხესა შემოქმედისასა, რომელი ეპურა ქაიხოსრო გურიელის ძეს და აღიღო იგი საჭურველის ძალითა და დაარღვია და ქაიხოსრო ლტოლვილი წავიდა ოსმალთა შინა და მამულნი მისნი მისცნა თვით მთავარსა გურიელს. გარდავლო გურიელის ძე დავით ძმა ქაიხოსროსი და მამული მისნი დაიპურა ეოველი ხელმწიფე იმპერატორისათვის, გარდავლო გურიის ერისთავი დავით ოსმალთა შორის, რომელი შემდგომად მცირედისა ხანისა მოკვდა და მამულნი მისნი დაიპურა ხელმწიფე იმპერატორისათვის და ესრეთ ურხნი მოსრნა გურიასა შინა და ერთგულნი აღავსნა წყალობითა და ესრეთ დაამშვიდა გურია და მოვიდა იმერეთს, და იმერეთს დაადგინა გამგებელად პოლოკოვნიკი თავადი ჰეტრე დიმიტრივიჩი გარნაკოვი, რომელსაცა შემდგომ მცირედის ხანისა მოუბოძეს ღენერალ მაიორობა, და ღენერალი ველიამინოვი ესრეთ გამარჯვებული წარვიდა საქართველოდვე. ხოლო მთავართა დადიანსა და გურიელს ამა ჟამისა ერთგულებისათვის დადიანსა მოუბოძა ხელმწიფე იმპერატორმა ჩინი ღენერალ ლეინტენანტობისა, რომელმანცა დაიცვა სამფლობელო თვისი შურეველად, და გურიელსა ორდენი მეორისა ხარისხისა თავადისა ვლადიმირისა, და სხვათა მრავალთა იმერეთსა და სამეგრელოსა და გურიასა შინა ერთგულთა ებოძა მოწყალება ამ ჟამთა ერთგულების ჯილდოდ

(შემდეგი ოქმება)

(თვის) ა ნ გ ი რ ი შ ი

ნაფარეულის გამსესხებელ-შემნახველ ამხანაგობისა.

1 იანვარს 1877 წელს იყო:

	მ.	კ.		მ.	კ.
წილის ფული:	176	50	გასესხებული	142	—
			ზარალი	10	84
ჯამი:	176	50	დარჩა:		
			ნაღდ ფულად	3	66
			ინვენტარში	20	—
			ჯამი:	176	50

1-ს იანვრიდან 1-ს მაისამდის არის:

შ ე მ ო ს ა ვ ა ლ ი :

გ ა ს ა ვ ა ლ ი :

	მ.	კ.		მ.	კ.
წილის ფული	627	50	გასესხებული	561	60
სარგებელი გასესხების და ინალი ვა-			სამართველთს სარჯი	37	25
დის მიცემის დროს	48	99	ჯამი:	598	85
სესხის დაბრუნება	217	—			
ჯარიმა	—	46			
ჯამი:	893	95			

1 მაისს 1877 წელს არის:

	მ.	კ.		მ.	კ.
წილის ფული	627	50	გასესხებული	561	60
წმინდა მოგება	11	75	დარჩა:		
ჯამი:	639	25	ნაღდ ფულად	57	65
			ინვენტარში	20	—
			ჯამი:	639	25

წევრნი: გამგეობისა { 1, სოლ. წერეთელი.
 მ. სესიოვი.
 ი. გოდანოვიძე

Дозволено цензурою. Тифлисъ, 2 Юнiя 1877 г. Типографiя Е. Хеладзе. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ „ივერიის“ განმეორებითი გამოცემის პროექტისა და იდეის ავტორი,

რედაქტორ-გამომცემელი ნუგ ზარ ჭიანჭველიძე

სარედაქციო ჯგუფი: ნელი დარბაიძე, ნინო კურტიანი, ნინო შავაძე, ნინო გლუნიანი, ლალი გორჩიანი, თამუნა დვალი,

მერაბ დვალი, აკაკი იობაშვილი. მხატვარი, ბუბა არაბული, დიზაინერი ლაშა ჩხეკელი

პროექტი: ივანია – ნანულა ლაშაძე – მომავლის მანქანა

პროექტის მხარდამჭერი საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთი „ივერია“ აღდგენილია, – განმეორებითი გამოცემა დაწყებულია 2011 წლის 2 აგვისტოს

მომავალი შს „სამომავლო სახლი ქართული ელიტა“ საიდენტიფიკაციო №404852174

მისამართი: გ. ლენინის 11ა; ტელ.: (+995 32) 299 76 53; chiaberashvili@gmail.com